საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, 24 აპრილი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გამოწერის ფასი: 1 თვით 35 მანეთი, ცალკე [illegible] 2 მანეთი. განცხადების ფასი ბოლოს [illegible] სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩარჩოთი ზომით 15×2 სტრიქონის ზომით: 100 მანეთი. ხელთ ნაწერები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: [illegible] ქ. 4, [illegible] ქუჩის [illegible] 10-ით. ტელეფონი 16—62

№ 91

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 91

მღვდ. პეტრე ლუტიძე და შვილები მისი: დუსიკო, ხაიკო, გენო, ლამპიადი და ვანიჩკა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 9 აპრილს ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა

ნიკოლოზ (კოლია) პეტრეს ძე ლუტიძის

ხუთი წლის წირვა და პანაშვიდი. (ქუთ. 373 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: სვიმონ და დესპინე გეგენავები, გულდათუთქული ცოლი ელენე მაჩავარიანის ასული, ძმა იგნატიე სვიმონის ძე, რძალი ვერა ხაინდრავას ასული და ძმის წული პატარა ნინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ მათი ძვირფასი

აკაკი სვიმონის ძე გეგენავას

ხუთის მოსახსენებელი გადახდილ იქმნა წლის წირვა და პანაშვიდი ს. გეჯეთში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში 9 აპრილს. (ქ. 371 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა ივანე, მამიდა ანასტასია, მამიდაშვილები: ელენე და ლიდა გვასალიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის საყვარელი

დიმით ჯათუას ძე კალანდიას

უდროოდ გარდაცვალებას. (ქუთ. 370)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ნესტორი და ივლიტა თავისი შვილებით: დავითით და თამარით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 25 აპრილს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი თავიანთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის 1-ლი ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფის

კონსტანტინე (კოლია) ნესტ. მის მერკვილაძის

მეუღლე აგრაფინა წერეთლის ასული, რძალი: ეფროსინე, ძმები: ხარიტონი და გრიგოლი, ძმის წულები: ქეთო და ლევანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

ვარლამი ბიჭიას ძე უიფიანის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას 10 საათზე დილით სიმონის ეკლესიიდან, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1368 2—1)

უსაზღვროთ გულმოკლული მეუღლე ზურაბი არსენის ძე კალანდაძე, დედა მართა, მამა კირილე, ძმა ავთანდილ, დები: ქეთო და ანნუსა ლომაძეები, დედამთილი მაკრინე, მაზლი პროკოფი, რძალი ნინა და მული აგრაფინა აუწყებენ: მოყვრებს, ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 4 მაისს (ძვ. სტ. 21 აპრილს) დილით სამშაბათს 12 საათზე დანიშნულია გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ს. ხიდისთავში ნასახლარის სასაფლაოზე

ეპრასია კირილე ლომაძის ასულის კალანდაძისა

ხსოვნის აღსანიშნავად, რისთვისაც ვსთხოვთ ყველას დასწრებას. (1369 1—1)

უსაზღვროთ დამწუხრებული დედა მართა, მამა კირილე, ძმა ავთანდილ, დები: ქეთო და ანნუსა ლომაძეები, ბიძაშვილები: სტეფანე, ნიკოლო, ჯამბულ და მელიტონ ნაცვლიძეები მეუღლეებითა და სიძე ზურაბ კალანდაძე აუწყებენ მოყვრებს, ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 4 მაისს (ძვ. სტ. 21 აპრილს) დილით სამშაბათს 12 საათზე დანიშნულია გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ს. ხიდისთავში ნასახლარის სასაფლაოზე, ქ. ფოთის პროფესიონალური სკოლა დამთავრებული და ხიდისთავის მე-4 კლასიანი სკოლის ხელსაქმის მასწავლებლის

ალექსანდრა კირილეს ასული ლომაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რისთვისაც ვსთხოვთ ყველას დასწრებას.

ღრმად დამწუხრებულნი: ვარტანე და ბაბულია გულიაშვილები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 21 აპრილს თუქურმიშში ტრაგიკულად დაიღუპა ძმა და საყვარელი მეგობარი

ისააკ ტარასაშვილი

(1390 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა, ძმები, დები, რძლები, სიძეები და ძმის წულები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 21 აპრილს თუქურმიშში ტრაგიკულად დაიღუპა საყვარელი და დაუვიწყარი კაპიტანი

ისაკ გიორგისძე ტარასაშვილი

დაკრძალვა მოხდება სოფ. ველისციხეში. (1390—1—1)

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე ოლია კარლოს ასული. ქალიშვილებით: ვალენტინა და ვიქტორია, რძლები: ელენე და თამარა დადიანი, ძმისშვილები: ნიკო, ვანო და გიორგი დარჩიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 21 აპრილს საღამოს [illegible] უეცრად გარდაიცვალა

ილარიონ ნიკოლოზისძე დარჩია

გამოსვენება შაბათს 24 აპრილს 12 საათზე სოფელ ყულაში საკუთარი სახლიდან დაკრძალვა იქნება წმ. ნიკ. ეკლესიაზე.

---

25 აპრილს 1920 წელს ახალი სენაკის სოფელ ქოლობანში ჯვარცმის ეკლესიაში გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

სოფიო ნიკოლოზის ასულის მიქელაძის

სულის მოსახსენებლად; რასაც აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს დედა მისი ფიდოსი [illegible], დედა ლორთქიფანიძისა, ძმა სვიმონ ლორთქიფანიძე, რძალი მარიამ ლორთქიფანიძისა და სიძე მიხეილ ლორთქიფანიძე. (1379—1—1)

შვილები: თამარა, კოსტა, ვერა და მაშენკა, ძმები: მღვდელი ერმოლაოზ და თომა სიმონისძე კალანდარიშვილები, დები: ბარბარე, იუსტინე და მარინე, რძლები: ოლინკა და ქეთევანე, ძმის შვილები: აკაკი, ელენე, ზაქარია, ტატიანე, ეფემია, ანა და ნინა კალანდარიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

დიომიდე სიმონისძე კალანდარიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. მაკვანეთში (გურია) კვირას 25 აპრილს. (1301—1—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს

აგრარულ რეფორმათა განყოფილება იწვევს შესაფერისი

სარაიონო კომისიის მდივნად

თფილისის მაზრაში. მდივნებს ეძლევათ ძირითადი ჯამაგირი 3000 მან. პლიუს დამატებითი 1050 მან. თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: 1) რა განათლებისაა (ცენზი). 2) წინანდელი სამსახური და 3) პროფესია. ამასთან წარმოდგენილი უნდა იქნეს საბუთები. (6, 3—3)

პარიზიდან ჩამოსული ვაჭარი **ყიდულობს** ძვირფას ნივთებს,

ბრილიანტებს, მარგალიტებს. ზურმუხტს

და სხვ. მსურველნი შეუძლია მიმართონ ი. ქ. ბაუჰნერს, კავკასიის ბანკი, შტაბის ქ № 4, ყოველ დღე დილის 10—2 საათ. (1359 6—2)

ქალაქთა კავშირი
კომერციული ბიულეტენი

ქალაქთა კავშირის საწყობმა მიიღო და ამლევს სახელმწიფო, ქალაქთა, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს (ბითუმათ) შემდეგ საქონელს:

მანუფაქტურა იტალიანური და ინგლისური ქაღალდისა.

ქსოვილები მატყლისა და მაუდები, ინგლისური.

ემალის (მინანქარის) ჭურჭლეულობა.

საპონი ფრანგული (მარსელის).

კოჭის ძაფები ინგლისური, იტალიანური და უმაღლეს ღირსების ისპანიური.

დანა ჩანგლები, უვნებელი და ჩვეულებრივი სამართებლები.

რუსული შვრია (пшено).

ელექტრონის მავთულები.

ახლო მომავალში მიღებული იქნება: ფანჯრების შუშა, ფეხსაცმელები, რუსული მაგარ ზოლიანი გალოშები, „კეროსინკები", შვედური ემალის ჭურჭლეულობა და მწვანე ქაღალდები საბეჭდავ მანქანებისათვის.

ნაწილ-ნაწილათ აღნიშნულ საქონელის შეძენა შეიძლება ქალაქთა კავშირის მაღაზიაში—სომხის ბაზარი, № 73, ტელეფონი № 18—20.

ბითუმათ მოვაჭრეებმა უნდა მიმართონ ქალაქთა კავშირის კომერციულ განყოფილებაში—გოგოლის ქ., № 51, ტელეფონი 11—54, დილის 9-დან დღის 3 საათამდე.

(6 2—2)

ცირკი
„იპპოდრომი"

(ყოფილ ძმ. ეფიმოვებისა) პლეხანოვის პროსპექტი მუშტაიდის მახლობლად.

პარასკევს 23, შაბათს 24 აპრილს შესდგება

დიდი
წარმოდგენა

3 განყოფილებათ. 17 საუკეთესო ნომერი. რუსეთის ცირკის სიამაყის ანატოლი დუროვის გასტროლების გაგრძელება. დღეს—ბევრი ენამახვილობაა და კალამბურები! სიცილი! სატირა! იუმორი! სოლო—რიჟის ბ. გარრის გასტროლი, თფილისის კინტოს მიმბაძველი ბ. ლევანსკის გასტროლი, აგრეთვე მონაწილეობს მთელი ტრუპის შემადგენლობა: დირექცია: ს. ნ. ქუთათელაძე და ლუის ბუფერალო. ადმინისტრატორი ი. ვ. ივანოვი. (1386—1—1)

ქართული სავაჭრო აქციონერულმა ბანკმა ქ. ფოთში

ფინანსთა მინისტრის მიერ 9 აპრილს, 1920 წლის დამტკიცებულ წესდების თანახმად უკვე დაიწყო მოქმედება 19 ამა აპრილიდან და აწარმოებს ყოველგვარ, წესდებით ნებადართულ

საბანკო ოპერაციებს

(6. 3—1) გამგეობა ქართული აქციონერულ ბანკისა ქ. ფოთში.

მთავრობის მიერ დანიშნული მცხეთაში

მოსულ რუს მოხალისეთა და ლტოლვილთა ქონების ჩამომრთმეველი კომისია

განაგრძობს მიღებას ყოველი მომართვის, თხოვნისა და შეკითხვების პირველ მაისამდის, რის შემდეგ კომისია დაიხურება. მსურველთ შეუძლიან მიმართონ კომისიის მდივანს—სამხედრო სამინისტროს [illegible] განყოფილება ქ. დ. ვაშაკიძეს, ბარიატინის ქუჩა № 10.

(1377—2—1)

ქალ. ზუგდიდში მოსამსახურეთა საკრებულოს დარბაზში შაბათს, 1 მაისს, დილის 10 საათზე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი იწვევს მაზრაში არსებულ ყველა სოფლის ორგანიზაციებიდან თითო წარმომადგენლებისაგან შემდგარ

კონფერენციას.

დღის წესრიგი: 1) მომენტი, 2) კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებები, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) კონსტიტუციის პროექტის განხილვა, 5) ფინან. ეკონომიური პოლიტიკა, 6) პროფესიონალური მოძრაობა, 7) კოოპერატიული პოლიტიკა, 8) მუნიციპალური პოლიტიკა, 9) აგრარული პოლიტიკა, 10) ჯარი და სახალხო გვარდია, 11) პარტიული მუშაობა, 12) დამოკიდებულება სს. და სხ. პარტიებთან, 13) ინტერნაციონალი, 14) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

კონფერენციას დაესწრება ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი.

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი ს. ს. დ. მ. პარტიისა. (ზ. 2—1)

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო ამით აცხადებს

რომ კვირას, 25 აპრილს, დღისით 12 საათზე,

გაიხსნება გამოფენა
ძველი ქართული ხუროთ-მოძღვრობის ნიმუშებისა

შესასვლელი ფასი პირველ დღეს 50 მანეთი, სხვა დღეებში 10 მან., მოსწავლეთათვის 5 მან. რუსთაველის პროსპექტი № 13. (1387—2—1)

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს 3 მაისს

საზოგადოება

„შევარდენი"-ს
ტანვარჯიშული გამოსვლა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დაწვრილებით პროგრამებში.

ბილეთების ყიდვა შეიძლება ორშაბათს, 26 აპრილიდან თეატრის კასაში. (1373—2—1)

აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს თავიანთ წევრთა საყურადღებოთ, რომ მან შეიძინა და

იყიდება

მთავარ მაღაზიაში (კირკის ქუჩა საკუთარი სახლი № 7) შემდეგი საქონელი: ჩულქები (თეთრი), ცხვირსახოცები, ძაფები, ბატისტი ფერადი, მარკიზეტი მოქარგული, სატინა—„დუბლე", ტილო, იაპონური და ბატისტის ბლუზკები, პერანგები, ქალის საცვლების გარნიტური, ლიფები და სხვ. საქ. აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობა.

(1375—2—1)

„ეშმაკის მათრახი"
№ 23

გამოვიდა შემდეგი შინაარსით: „აღსარება"—თაგუნასი, ქვორუმი—მთიელისა, შექანჯალებულის ლექსები, მაძებარნი. „ტაქსა", სამი ქალი. კარიკატურები: „სამი დევ გმირი", „Perpetuum mobile", ფოთის ცხოვრებიდან, საბჭოთა რუსეთის ღმერთი" და სხ. რედაქციის მისამართი: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24. (უ. 2—1)

ჯარისკაცი

ლევანტი კონსტანტინეს ძე მინდიაშვილი

მსახურობდა კავკასიის ფრონტზე მე-112 სათადარიგო ქვეითა პოლკში მე 8 [illegible] მწყობრში, სამი წლიდან მისგან ცნობა არ მიუღიათ. ვსთხოვთ ყველას თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ მაცნობოს ქ. ქუთაისში რესპუბლიკის ქ. გ. მინდიაშვილს.

(ქუთ. 339—1—1)

აზერბეიჯანის ვითარება

ძლიერ საყურადღებოა ის სულიერი განწყობილება, რომელიც დღეს ეუფლება ჩვენს მეზობელს—აზერბეიჯანის რესპუბლიკას, როგორც მის ფართო დემოკრატიულ წრეებს, ისე ოფიციალურ მთავრობას. ბოლშევიზმი რუსეთიდან მის კარს მოადგა ისევე, როგორც საქართველოს კარს. განსხვავება ამ ორ რესპუბლიკას შორის ის არის, რომ აზერბეიჯანის შიგნით უფრო მეტი სახელმწიფოს დამარღვეველი, ბოლშევიზმის თანამგრძნობი ელემენტი მოიპოვება, ვიდრე საქართველოში. საკმარისია გავიხსენოთ „იტტიხადის" პარტია, რომელმაც თავის დროშაზე დააწერა ორიენტაცია საბჭოთა რუსეთზე. გარდა „იტტიხადისა", ბოლშევიზმისაკენ იყურებიან ქ. ბაქოს ყველა მცხოვრებნი, მუსულმანობას გამოკლებით, რადგან ბოლშევიზმის აზერბეიჯანში შემოსვლა მათთვის ისევე [illegible], როგორც ხელსაყრელი იყო 8—9 თვის წინათ დენიკინის შემოსვლა: პირველიც და მეორეც ძალით აზერბეიჯანს რუსეთს უბრუნებს, და ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთათვის სწორედ ეს არის სანატრელი მიზანი.

როგორ შეეგებიან აზერბეიჯანის ძირითადი მცხოვრებნი ბოლშევიზმის მოახლოვებას? ამაზე პასუხს იძლევა ის რეზოლუცია, რომელიც გამოიტანა ქ. ბაქოს პროფეს. კავშირების ცენტრალურმა საბჭომ. როგორც ამ რეზოლუციიდან სჩანს, ბაქოს პროლეტარიატს მტკიცედ შეუგნია აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის საჭიროება და მაგრა დგას მის დაცვის თვალსაზრისზე. ბაქოს პროლეტარიატი მტრულად არ არის განწყობილი რუსის დემოკრატიისადმი. იგი მზად არის ხელი გაუწოდოს საბჭოთა რუსეთს და კეთილმეზობლურად იცხოვროს მასთან, მაგრამ მის რეზოლუციის კიდევ ერთნაირი [illegible] ეძლევა საბჭოთა რუსეთის მთავრობას წინააღმდეგ, იმის გამო, რომ „რუსეთის დემოკრატია [illegible] პასუხს არ იძლევა იმაზე, სცნობს, თუ არ სცნობს ჩვენს თავისუფლებას. პასუხის ნაცვლად ჩვენ გვხვდება საბჭოთა ჯარების შეჯახება ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე",

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲔᲡ

სან-რემოს კონფერენციამ განიხილა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების ერთი ნაწილი და მოაწესრიგა კურდისტანის საკითხი.

შეერთებული შტატების წარმომადგენელი დაესწრება სან-რემოს კონფერენციას, მაგრამ კამათში მონაწილეობას არ მიიღებს.

ფრანგული ცნობით სომხეთის მანდატი ჰოლანდიას ჩაბარდება. ფინანსიურად სომხეთს ამერიკა დაეხმარება.

22 აპრილს ღამით ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს ქობულეთ-ჩაქვს შუა კინტრიშის ხიდი.

დეპუტატ აკაკი ჩხენკელს აჭარა აღფრთოვანებით შეხვდა.

რეზოლუცია მიმართავს რუსეთის პროლეტარიატს „იმ იმედით, რომ მან მოგვცეს საბოლოო პასუხი, სცნობს თუ არა ჩვენს დამოუკიდებლობას". ამას თანავე ბაქოს პროლეტარიატი ასე აფრთხილებს რუსეთის პროლეტარიატს.

„თუ ჩვენ რუს ძმებთა შორის გაიმარჯვებს მტაცებლური მისწრაფებანი და გადაწყვეტილი იქნება ჩვენზე თავს დასხმა, ჩვენ ჩვენის მხრით იძულებულნი ვიქნებით, გულის მწუხარებით, ხელში ავიღოთ იარაღი ჩვენის უფლებების დასაცველად".

ასეთია პოზიცია, რომელზედაც დგას აზერბეიჯანის დემოკრატიის მოწინავე რაზმი ბაქოს პროლეტარიატი. მისმა სულიერმა განწყობილებამ არ შეიძლება დიდი გავლენა არ მოახდინოს აზერბეიჯანის მცხოვრებთა სხვა ნაწილებზედაც. რუსეთისაგან დამოუკიდებლობის ნიადაგზე შეჩერდნენ ის პარტიებიც, რომლებიც საბჭოთა რუსეთს აშკარა თუ ფარული თანაგრძნობით უყურებენ. საბჭოთა რუსეთთან შეთანხმება აზერბეიჯანის რუსეთისაგან დამოუკიდებლობის საფუძველზე — ასეთია ის პოზიცია, რომელზედაც დღეს სხვადასხვა პარტიების შეთანხმება ხდება. ეს პლატფორმა დაედო საფუძვლად ხანგრძლივ კრიზისის შემდეგ შედგენილს მთავრობას, რომელსაც სათავეში უდგება მამედ ჰასან ჰაჯინსკი. ეს პოზიცია ყველასათვის იმდენად მისაღები გამოდგა, რომ ჰაჯინსკის კაბინეტში, როგორც ჩანს, მონაწილეობას მიიღებენ ის პარტიებიც, რომლებიც შეურიგებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ „მუსავატის" პარტიის წინააღმდეგ, რომლისაც მთავრობის სათავეში ნ. ბ. უსუბბეკოვი იდგა.

მ. ჰაჯინსკის კოალიციური კაბინეტის შედგენა, როგორც ვხედავთ, იმის მომასწავებელია, რომ შეთანხმებული პარტიები საჭიროდ სცნობენ დაიცვან აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთისაგან. მაგრამ კაბინეტის შემადგენლობა და მისი თანაგრძნობა საბჭოთა რუსეთისადმი მეორე საკითხს ბადებს: დაიცავს თუ არა აზერბეიჯანის ახალი მთავრობა თავის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას მეორე მხრითაც—ოსმალეთის მხრითაც? ნ. ბ. უსუბბეკოვის კაბინეტი ამ მხრივ უფრო მტკიცედ იდგა დამოუკიდებლობის პოზიციაზე.

დღეს კაბინეტში შედის ორი „ინტერნაციონალისტი", რომლებიც აზერბეიჯანის ოსმალეთთან გაერთიანებაზე უნდა ნატრობდნენ, ოსმალეთის ორიენტაციის ფარული მომხრენი სოციალისტებშიაც მოიპოვებიან. მაგრამ უფრო დამახასიათებელი და დამაფიქრებელია ბაქოელ „კომუნისტების" მოქმედება: მათი დაპირებითი პოლიტიკა იმდენათ შორს წავიდა, რომ მათ განაცხადეს: თუმცა მ. ჰ. ჰაჯინსკის კაბინეტში ვერ შევალთ, მაგრამ მის კაბინეტს მხარს დავუჭერთ, სიამოვნებით ვიმუშავებთ მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებებში".

ჩვენ ვიცით, როგორ უპრინციპობას იჩენენ ბოლშევიკები, როდესაც რომელიმე მიზნის განხორციელება უნდათ. და ჩვენ ეჭვი გვაქვს: მ. ჰ. ჰაჯინსკის კაბინეტისადმი ასეთი ლმობიერება იმის მომასწავებელი ხომ არ არის, რომ ამით მათ აზერბეიჯანი უნდა ჩაითრიონ საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის ავანტიურისტულ ბლოკში! აზერბეიჯანის დემოკრატიამ გაფაციცებით უნდა ადევნოს თვალყური, რომ თავის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა მტკიცეთ დაიცვას როგორც ჩრდილოეთიდან, ისე სამხრეთიდან.

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

IX.

ლენინიზმის მხარე

რუსეთის დემოკრატიას ამ სამოქალაქო ომის დროს ჰქონდა ერთი თავსამტვრევი საკითხი ლენინი თუ დენიკინი? ასე იდგა კითხვა. ნაწილი ემხრობოდა ერთ ბანაკს, ნაწილი მეორეს—ორივე მხარე ყურადღებას აქცევდა გარეგნობას, დამახასიათებელი ნიშნებით აფასებდა ამა თუ იმ ბანაკს, ლენინის დიქტატურა ხელს გვიხუთავს, ამბობდნენ, ისევ დენიკინი გვირჩევნია. არა, დენიკინი უფრო [illegible], ვიდრე ლენინის მთავრობა,—გაისმოდა მეორე ბანაკიდან.

იშვიათად შეხვდებოდით დემოკრატიულ წრეს, რომელიც საბოლოო მიზნის მიხედვით აფასებდა ამ ორ მებრძოლ ძალას. რომელი მათგანი უფრო გვიმოკლებს გზას მომავლისაკენ?—ამ კითხვაზე ვერც ერთი მხრიდან ვერ გაიგონებდით პასუხს.

ლენინის დროშაზე ეწერა ის საბოლოო მიზანი, რომელიც დიდი ხანია დასახული აქვს მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს, დენიკინის დროშაზე არ ეწერა ეს მიზანი. სწორედ ამით, ნიღბით პირველი იყო რევოლუციონერი და სოციალისტი, მეორე იყო რევოლუციის და სოციალიზმის მოწინააღმდეგე. თითქმის უმრავლესობა მეტ ყურადღებას აქცევდა ამ სუბიექტიურ მისწრაფებას, ამ სურვილს—ნიღაბს. ნაკლებად უყურებდნენ იმ გარემოებას, რომ ობიექტიურად, მისწრაფებაზე და სურვილებზე დამოუკიდებლად, შეიძლება რევოლუციონერი ამზადებს რეაქციას და რეაქციონერი რევოლუციას.

რუსეთის მწერლობაში მე 90 წლებში დიდი კამათი იყო. კამათობდნენ მარქსისტები და ნაროდნიკები. პლეხანოვი ებრძოდა მიხაილოვსკის და მის თანამოაზრეებს. ნაროდნიკები ამტკიცებდნენ, რუსეთი თავისი საშუალებით გადავა სოციალიზმისაკენ. პლეხანოვი ამბობდა,—არა, აქაც დასავლეთურად კაპიტალიზმი უნდა განვითარდეს ჯერ და მერე ჩაიყრება სოციალიზმის საძირკველი. მარქსისტებს მაშინ, და სხვათა შორის ლენინსაც, კაპიტალიზმი მიაჩნდათ პროგრესიულ მოვლენად. მსხვილი ბურჟუაზია, მათი აზრით, უფრო წინსვლელი იყო, ვიდრე წვრილი ბურჟუაზია.

მარქსისტები ამბობდნენ,— წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანაში სოციალიზმი რეაქციონერ ძალად გადაიქცევაო. ისინი ჯერ კაპიტალიზმს არჩევდნენ. კაპიტალიზმი რევოლუციონურ დანიშნულებას შეასრულებს, ის მოხნავს საზოგადოებრივ ნიადაგს, რომ სოციალისტური თესლი მაშინ უფრო გაიხაროს.

მარქსისტებმა გაიმარჯვეს იმ კამათში, გაიმარჯვეს თეორიაში, ქაღალდზე, მაგრამ მერე დამარცხდნენ სინამდვილეში, საქმიანობაში. აქ გამარჯვება ერგო ნაროდნიკულ მსოფლმხედველობას. ლენინის მთავრობამ სოციალიზმის სამოთხეში შესვლა მოინდომა უკაპიტალიზმოთ, კაპიტალიზმის [illegible].

ლენინის პარტიას რომ დაპირისპირებოდა ისეთი ბურჟუაზიული პარტია, რომელიც საწარმოო ძალებს მოუვლიდა, კაპიტალისტურ მეურნეობას არ გაანადგურებდა, მაშინ შეგნებული დემოკრატია ამ ბურჟუაზიულ პარტიას დაუჭერდა მხარს. გერმანიაში, მაგალითად, მოწინავე ბურჟუაზია უფრო პროგრესიულ საქმეს აკეთებდა, ვიდრე სპარტაკელები. ამ გერმანელ ბოლშევიკებსაც სოციალისტური ხელწოდება ქონდათ, მაგრამ ობიექტიურად ისინი უფრო რეაქციონერები იყვნენ, მათი გამარჯვება უფრო საზიანო იყო სოციალიზმისთვის, ვიდრე იმ ბურჟუაზიის, რომელსაც თავდაპირველ შეუთანხმდნენ შეიდემანელები.

რუსეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ არ გამოსულა ამისთანა ბურჟუაზიული ძალა. დენიკინი წარმოადგენდა ძველ დროს, ფეოდალურ ხანას. საბოლოოთ ის იცავდა დრომოჭმულ თავადაზნაურობას და არა კაპიტალისტურ ძალებს. სუსტი ბურჟუაზია იმალებოდა მხოლოდ დენიკინის ზურგს უკან, მხარს კი ვერ უჭერდა. ბურჟუაზია ვერ გრძნობდა, რომ დენიკინი მისი სისხლი და ხორცია, ვერც ისარგებლა დენიკინის გამარჯვებით და ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებულ ადგილებში ხელი ვერ შეუწყო საწარმოო ძალების განვითარებას.

აქ რომ ლიბერალი ბურჟუაზია ყოფილიყო, ბოლშევიკები ისე გაიმარჯვებდნენ, როგორც სპარტაკელებმა გაიმარჯვეს გერმანიაში. ეს ფილოსოფია ისტორიული პირობების ბრალია. სხვა ქვეყნებში ბურჟუაზია ვითარდებოდა, როგორც დემოკრატიული კლასი, აქეთ ის შეუთანხმდა წარსული დროის კლასებს, მაგრამ თაოსნობა მაინც მის ხელში დარჩა. ბურჟუაზიამ იქ [illegible] მოიშინაურა ფეოდალური ძალები და თავისთვის გამოიყენა სოციალიზმის წინააღმდეგ.

სულ სხვანაირი მდგომარეობა იყო რუსეთში. აქ ბურჟუაზია შეეზარდა ბატონყმურ მთავრობას. კაპიტალიზმის განვითარება აქ ძველ ნიადაგზე დაიწყო. ძველმა წესწყობილებამ მოიშინაურა ბურჟუაზია და თავისთვის გამოიყენა სოციალიზმის წინააღმდეგ. რუსეთის სამოქალაქო ომში ბურჟუაზია არ გამოვიდოდა, როგორც ახალი დამოუკიდებელი ძალა. ის იყო ძველის დამატება. თუ ეს დამატება გაიმარჯვებდა, მაშინ გამარჯვებული იქნებოდა ის მთავარი რეაქციონური ძალაც, თუ ის დამარცხდებოდა, მაშინ ესეც დამარცხებული იქნებოდა.

რუსეთის ბურჟუაზია რომ ამ სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოსულიყო, ის თავისით მაინც ვერ მოიმაგრებდა ფეხს. ის მოინატრებდა სტოლიპინის თანამშრომლებს, უკეთ ვთქვათ, დამცველებს. მოინდომებდა ისევ მეფეს. ეს იქნებოდა ძველი დროის დაბრუნება. ამას ექნებოდა მთელი ქვეყნისთვის რეაქციონური მნიშვნელობა.

ლენინის მთავრობამ ამ მხრივ გააკეთა დიდი საქმე. მაგრამ ეს საქმე დაჯდა ძვირად. ლენინმა გაიმარჯვა სოციალიზმის დამარცხებით. გადაიქცა რეაქციონური წყალი და თან გაიყოლა რევოლუციონური [illegible]. სოციალიზმთან, ლენინის წყალობით, დღეს ჩვენ ისე ახლოს ვართ, როგორც ვიყავით, ვთქვათ, მე 15-ე საუკუნეში. სოციალიზმთან დასაახლოვებლად საჭიროა უარყოფა მთელი იმ „სოციალისტური" საქმიანობის, რომელსაც ვხედავდით ამ ორი სამი წლის განმავლობაში. საჭიროა ისეთი ძალა, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობას გაამთელებს და თითონვე წარმოშობს ახალ მემკვიდრეს.

როცა ევროპა-ამერიკასთან ზავი ჩამოვარდება, როცა აქ მწარმოებელი კაპიტალი შემოვა, მაშინ ადვილად შეიძლება, რომ თითონ ლენინის მთავრობა გადაიქცეს ამისთანა ბურჟუაზიულ ძალად. როგორც ასეთი, ის მაშინ თუ მთავრობის სათავეში დარჩა, წინააღმდეგი იქნება სოციალიზმის, მუშათა დამოუკიდებელი მოძრაობის, რვა საათის სამუშაო დღის და სხვა. აქამდის ჩვენ ლენინს ვებრძოდით „მარჯვნიდან", მაშინ ბრძოლა დაგვჭირდება „მარცხნიდან". მაგრამ მისწრაფება—სურვილების მიუხედავად ის მაშინ იქნება იმ ხაზზე, რომელიც გამოდგება სოციალიზმისაკენ წინსვლისათვის. ლენინის ფერისცვალებაში ჩვენ დღესვე ვხედავთ ამისთანა ნიშნებს.

მისი სოციალისტური სახე იყო რეაქციონური, მისი ბურჟუაზიულად შეცვლილი სახე იქნება რევოლუციონური.

ხ. დუმბაძე.

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

12 აპრილის სხდომა.

(ოქმი № 5).

(დასასრული)

გ. ბ. აგაევი: როდესაც ლაპარაკობენ 23 ნოემბრის უფლებრივ „სტატუსის" აღდგენის შესახებ, ამაში შედის ყველა წინანდელი შეთანხმებანი.

ა. ი. ოგანჯანიანი. მე ამას დაჟინებით მიტომ ვეკითხები, რომ [illegible] განაცხადა: როდესაც შეთანხმება მოხდა, 22 აგვისტოს შეთანხმება აღარ არსებობდა. არც ისე მეორე იყო შეთანხმება. იყო მხოლოდ ეს ორი შეთანხმება 22 აგვისტოსი და 23 ნოემბრისა, მე ვერ ვხედავ მათი ჩვენ ფორმულაში შეტანილობის მიზეზს.

სხდომა შესწყდა ორივე მხრისათვის მისაღებ ფორმულის გამოსამუშავებლად. შესვენების შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს შემდეგ ფორმულას, რომელსაც უერთდებიან სომხეთისა და აზერბეიჯანის დელეგაციები: დამტკიცებულ იქნას სავსებით ის უფლებრივი „სტატუსი", რომელიც არსებობდა შეტაკებამდის და დაფუძნებულია სომხეთ-აზერბეიჯანის და ამიერ-კავკასიის კონფერენციებზე და აგრეთვე ეროვნულ საბჭოების სათანადო მთავრობებთან მიღწეულ შეთანხმებების საფუძველზე.

ამის შემდეგ გ. ბ. აგაევი კითხულობს დეპეშის ტექსტს, რომელიც ეს არის მიიღეს ყაზახიდან სომხების მიერ დროებითი ზავის დარღვევის შესახებ. დეპეშას აკერებენ საქმეს.

ე. პ. გეგეჭკორი წინადადებას იძლევა ამ დეპეშის პირი გადასცენ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და სთხოვონ მას სათანადო ზომების მიღება.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა გადავიდნენ საკითხზე იმ კომისიების შესახებ, რომელნიც ადგილობრივ უნდა წავიდნენ და გამოარკვიონ განხორციელებულია, თუ არა კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

ე. პ. გეგეჭკორი მოითხოვს ამ დელეგაციების გაგზავნას. 1) კონფერენციას უნდა ჰქონდეს ადგილობრივ თავისი ორგანოები კავშირისთვის, 2) კომისიას ადგილობრივ შეუძლია კი თვალსაჩინო ფსიქოლოგიური ზედგავლენა მოახდინოს და შეკუმშული ატმოსფერა გაფანტოს, 3) ჩვენთვის აუცილებელია მივიღოთ მასალა, რომლის საშუალებით ჩვენ უნდა მივიღოთ ესა თუ ის ზომა. ჩარევა ისეთი კომპეტენტური ორგანოსი, როგორიც არის კონფერენცია, აუცილებლობას წარმოადგენს. [illegible] რწმუნებულების საკითხზე, მე უნდა განვაცხადო, რომ კომისიას უნდა ჰქონდეს ყოველივე რწმუნებულება, როგორც კონფერენციას. შეტაკებათა შესაწყვეტად მას შეეძლოს ჩაერიოს იქ, სადაც ჯერ ჯერობით ეს შეწყვეტილი არ არის, ამას გარდა, მან უნდა გამოარკვიოს ამ მოვლენების მიზეზები და ხასიათი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ორი კომისია: ერთი წავა სომხეთში, მეორე აზერბეიჯანში.

გ. ს. ლორთქიფანიძის აზრით უნდა იქნეს ერთი კომისია ექვსი პირისაგან შემდგარი, რომელიც სამ სამი პირისაგან შემდგარ ორ ავტონომიურ სექციად განაწილდება.

ა. ი. ოგანჯანიანი: ყველა თანახმაა იმისა, რომ კომისიას ქონდეს ფართო რწმუნებულება თავისი მიზნების ასასრულებლად. საკითხია მხოლოდ მისი მიზნების შესახებ. მე მგონია, რომ სანქციო მიზნები და მიზეზთა გამორკვევა თავის თავად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში კომისიის მუშაობას მეტად გააძნელებს და გააგრძელებს. ჩვენი უმთავრესი მიზანია კონფერენციის დადგენილებათა ასრულება, 1) შეტაკებათა შეწყვეტა, 2) „სტატუს-ქვოს" აღდგენა ეს ორი საქმე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი მოქმედება ამით უნდა განისაზღვროს, ისტორიული ფუნქციები კი, რომელნიც თავისთავად მნიშვნელოვანია, ჩვენ შეგვეძლია, თუ ეს საჭიროა, გადავცეთ სხვა კომისიას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჩვენ უმთავრეს მიზანს დააბრკოლებს.

გ. ა. აგაევი. იცავს კომისიისათვის სანქციო რწმუნებულების მინიჭების საჭიროებას.

ე. პ. გეგეჭკორი: ვეთანხმები რა ოგანჯანიანს, რომ სანქციო ფუნქციები კომისიის მუშაობას გააძნელებს, მაინც ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მას უნდა დაევალოს, მაგრამ პირველად ყოვლისა, რა თქმა უნდა, კომისია, უნდა შეუდგეს ჩვენ დადგენილებების განხორციელებას და მათი ასრულების კონტროლს, ამ მხრივ, მე წინადადებას ვიძლევი რაც შეიძლება ფართო რწმუნებულება მივცეთ.

[illegible]: ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ ამ ფართო რწმუნებულებისა და მასთან სანქციო რწმუნებულების მინიჭებისა, მაგრამ მათი ერთად შეერთება არ არის საჭირო. სანქციო ფუნქციები თხოულობს სხვა გვარ შრომას, რომელიც მას პირდაპირ და უმთავრეს მიზნის ასრულებას ხელს შეუშლის, შეიძლება ამ მიზნისათვის შევქმნათ განსაკუთრებული სანქციო კომისია.

გ. ს. ლორთქიფანიძე წინადადებას იძლევა აღნიშნონ, რომ კომისია გზა და გზა და შეძლების დაგვარად სანქციო მუშაობასაც გასწევს.

ხ. ბ. კრიჩინსკი: საჭიროა თანასწორი დაცვისათვის ორივე ფუნქცია, როგორც სისხლის დვრის შეწყვეტის შესახებ კონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისა, აგრეთვე სანქციო მუშაობის შესახებ.

ე. პ. გეგეჭკორი: მეც ვფიქრობ, რომ ერთ კომისიას შეუძლია ორივე ფუნქციის შესრულება მივანდოთ, რა თქმა უნდა, თავდაპირველად იგი შეუდგება კონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას და კონტროლს და შემდეგ კი იმ მიზეზთა გარკვევას, რომლებმაც შეტაკებანი გამოიწვია. ცხადია, კომისიას ადგილობრივ ექნება თავისი ორგანოები, რომლებიც ამ მუშაობაში მას დაეხმარებიან. მე მიუღებლად ვთვლი წინადადებას იმის შესახებ, რომ კომისია შეუდგეს განხილვას გზადაგზა და შეძლებისდაგვარად.

ა. ი. ოგანჯანიანი: მე დაჟინებით არ მოვითხოვ ჩემი წინადადების მიღებას, მხოლოდ ვფიქრობ, რომ ეს ხელს შეუშლის ჩვენი მუშაობის სისწრაფეს.

მიიღეს შემდეგი ფორმულა: „კონფერენცია ირჩევს 6 კაცისაგან კომისიას, რომელიც: 1) ადგილობრივ გაატარებს და კონტროლს გაუწევს კონფერენციის დადგენილებათა ასრულებას, რომელიც ეხება სისხლის მღვრელ შეტაკებათა მოსპობას და „სტატუს-ქვოს" აღდგენას შეტაკებათა ადგილებში. 2) გამოარკვიოს მომხდარი მიზეზები და ხასიათი შეტაკებისა".

თავმჯდომარე კითხვას სვამს კომისიის შემადგენლობის და ვადის შესახებ, როდისაც კომისია უნდა გაემგზავროს, დაადგინეს: ყოველი დელეგაცია ირჩევს ორ წევრს კომისიაში და შემდეგში წევრთა რიცხვი შეიძლება გადიდებული იქნას, წინადადება მიეცა დელეგაციებს შემდეგი სხდომისათვის წარმოადგინონ კომისიაში დასანიშნავი პირთა სია.

დაადგინეს დაიბეჭდოს და გამოქვეყნდეს სხდომის ოქმები; დაადგინეს აგრეთვე, რომ კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აცნობონ მოკავშირეთა მისიებს. (საქ. დეპ. სააგენტო).

ᲑᲐᲥᲝ

21 აპრილს განჯაში გაემგზავრა საგანგებო საპარლამენტო კომისია იქ მომხდარი ამბების გამოსარკვევად.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა უკანასკნელმა მოახდინოს განკარგულება ბათუმში და თბილისში მყოფ აზერბეიჯანის კონსულების საყურადღებოთ, რომ უკანასკნელებმა ბაქოში მიმავალ პირებისთვის „პროპუსკების" მიცემის დროს გამოარკვიონ ნამდვილი მიზეზები, თუ რისთვის მიემგზავრებიან ისინი ბაქოში.

— ნავთის მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ისინი მისცემენ მუშებს იანვრისა და თებერვლის განსხვავებას იმ პირობით, თუ მთავრობა გაუდიდებს მათ ფასს ორჯერ.

— აზერბეიჯანის პარლამენტის წევრი ა. ყარაევი აზერბეიჯანის კომუნისტების სახელით უარყოფს „ისკრაში" მოთავსებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ადგილობრივ კომუნისტებმა თითქოს თანხმობა განაცხადეს ჰაჯინსკის კაბინეტისთვის მხარის დაჭერაზე. „ისკრას" რედაქცია ამის გამო შემდეგს აცხადებს: „ვმით კატეგორიულად ვამტკიცებთ, რომ პარლამენტის სოციალისტური ფრაქციის სხდომაზე ადგილობრივ კომუნისტების ორმა წარმომადგენელმა გააკეთეს დაწვრილებითი მოხსენება კაბინეტის შედგენისათვის მ. ჰაჯინსკისთან მოლაპარაკების შესახებ. აღნიშნულმა კომუნისტებმა წინადადება მისცეს სოციალისტურ ფრაქციას, რათა უკანასკნელმა სრული თავისუფლება მიანიჭოს ჰაჯინსკის კაბინეტის შედგენის საქმეში, რომელსაც (კაბინეტს) კომუნისტები მხარს დაუჭერენ.

— ბაქოს პროფესიონალური კავშირთა საბჭო უარყოფს მიმდინარე მომენტის შესახებ გაზ. „აზერბეიჯან"-ში მოთავსებულ რეზოლუციას, რომელიც თითქოს „პროფეს. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს" გამოუტანია. საბჭო აცხადებს, რომ მას არავითარი რეზოლუცია არ მიუღია მომენტის შესახებ; აღნიშნული რეზოლუცია კი გამოტანილია „მუსსავატის" კავშირის მიერ, რომელსაც შესწევს უტიფრობა თავის თავს „ცენტრალური კავშირი" უწოდოს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 აპრილი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

პირველი მაისისათვის.

მოსკოვი 22 აპრ. „პრავდა" პირველი მაისის გამო სწერს: „ჩვენ წელიწადის ვმუშაობთ, ჩვენ პატრონები ვართ იმისა, რასაც ვაკეთებთ, ჩვენ თვითონ [illegible] მაშინ, როდესაც ცოტას ვაკეთებთ. მეპატრონეს არ შეუძლია თავის მეურნეობას გადაუდგეს. იგი ისვენებს მაშინ, როდესაც სამუშაო გათავებულია, როდესაც ცხოვრება უზრუნველყოფილია და მიმდინარე საჭიროებანი დაკმაყოფილებულია,—ჩვენ კი ეს ასე არა გვაქვს. ჩვენი მეურნეობა დაშლილია, კაპიტალისტმა არ ჩაგვაბარა ჩვენ იგი, როგორც სასურველ მემკვიდრეს. პირველ მაისს და მის მომდევნო კვირაში ჩვენ უნდა ვიმუშაოთ გაძლიერებულად, რომ სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობისადმი მუშაობით გამოვხატოთ ჩვენი სოლიდარობა. პროლეტარიატი პირველი მაისისათვის ემზადება. ბურჟუაზიულ ქვეყანაში იგი თავის დღესასწაულს შეხვდება ხელდაჭერილი, სოციალისტურ ქვეყანაში კი თავის დაზგასთან, თავის ქარხანასა და ფაბრიკაში, მაგრამ აქაც და იქაც იგი იქნება ერთად განუყოფელი.

სათბობი მასალა.

სარატოვი. 20. ნავთის სათბობ მასალათ გამოყენების საკითხი სასურველად სწყდება. ასტრახანში მოვიდა 500 000 ფუთი ნავთი, რომელიც უნდა გაიგზავნოს ზევით ვოლგაზე.

ლოთობის წინააღმდეგ.

ადლერ. სოფ. [illegible] მცხოვრებლებმა დადგენილება გამოიტანეს ლოთობის მოსპობისა და არაყის გამოხდის წინააღმდეგ. გადაწყვიტეს ლოთებს აუკრძალონ მიწით სარგებლობა, არ მისცენ მათ სურსათ სანოვაგე და რიგს გარეშე გაგზავნონ სამუშაოზე.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

რუსეთის ცხოვრების პირობები.

ამერიკის სენატს შეატყობინეს, რომ შეერთებული შტატები არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან წარმოდგენილი ხალხთა ლიგის იმ კომისიაში, რომელიც რუსეთის ცხოვრების პირობებს იკვლევს.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

გერმანიის ნოტები.

გერმანიის დელეგაციამ საზავო კონფერენციის სამდივნოს გადასცა სამი ნოტა სან რემოში გასაგზავნათ. პირველი წარმოადგენს გერმანიის მთავრობის პასუხს ახალ საერთაშორისო კომისიისადმი მილიციის შესახებ. მეორე ნეიტრალურ ზონაში გერმანიის ჯარის რაოდენობის შესახებ. გერმანიის მთავრობა ითხოვს ნებართვას [illegible] ჯარის, საფრენი აპარატების და არტილერიის გადიდების შესახებ. მესამე ნოტით გერმანია ითხოვს, რომ მთავრობის ჯარის რაოდენობა განსაზღვრული იქნას 200,000 კაცამდე, 2 ([illegible]) მომქმედ [illegible] არტილერიის გადიდებას და მეორე რკინის გზის საზოგადოებების და საჰაერო ორგანიზაციებისადმი დახმარებას. საფრანგეთის გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ გერმანიის ეს წინადადებები მიუღებელია. არც ავიაცია, არც მძიმე არტილერია, სწერს „პტი-ჟურნალი" არ არის საჭირო არმიისათვის, რომელიც სახელმწიფოს შინაური წესრიგის უზრუნველსაყოფად არის დანიშნული, ნამდვილად გერმანიას სურს თავდამცველ არმიის დიდი ძალა იქონიოს. მოკავშირეებმა ძლიერ კარგად იციან, თუ როგორ საშიშროებას წარმოადგენს მათთვის ამ მოთხოვნილების ასრულება.

ოსმალეთის გარშემო.

სან-რემოდან იუწყებიან, რომ უმაღლესმა საბჭომ განიხილა ოთხშაბათს დილით ოსმალეთის სამხედრო, საზღვაო და საჰაერო კომისიის შემადგენლობა და სამხედრო და საზღვაო ექსპერტებს გადასცა აუცილებელი ინსტრუქციები, რომლებიც საზავო ხელშეკრულების ასრულებას შეეხება, შემდეგ განიხილეს კომისიის ოსმალეთში რეკვიზიციის უფლების საკითხი. შემდეგ მოაწესრიგეს კურდისტანის საკითხი. ოთხშაბათს უმაღლესი საბჭო განაგრძობდა ოსმალეთთან დასადებ ხელშეკრულების პირობების განხილვას. შემდეგ მოუსმინეს გამოსარკვევ ტექნიკურ საკითხების შესახებ სამხედრო და საზღვაო ექსპერტებს, სხდომა ზოგიერთ ტერიტორიალურ საკითხის განხილვით დასრულდა.

სომხეთის მანდატი.

„პეტი პარიზიენმა" სან რემოდან თავის კორესპონდენტისაგან შემდეგი ცნობები მიიღო: როგორც ჩანს, გადაწყვეტილია, რომ სომხეთის მანდატი, რომელიც ნეიტრალურ სახელმწიფოს უნდა მინდობოდა, გადაეცემა ჰოლანდიას, რომელმაც პრინციპიალურად თანხმობა განაცხადა იმ პირობებით, რომ მარტო მან არ [illegible] ფინანსიური სიძნელენი. იმედი აქვთ, რომ ამერიკა, რომელიც აქამდე ძლიერ დაინტერესებული იყო სომხეთით და რომელმაც მანდატზე უარი განაცხადა, ფინანსიურად მაინც დაეხმარება.

ამერიკის წარმომადგენელი სან რემოს კონფერენციაზე.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: სახელმწიფო დეპარტამენტმა შეერთებული შტატების ელჩს რომში წინადადება მისცა დაესწროს სან რემოში სხდომებს, მაგრამ კამათში კი მონაწილეობა არ მიიღოს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

კინტრიშის ხიდის აფეთქება. 22 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე, ვიღაც ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს კინტრიშის ხიდის შუა ნაწილი; ეს ხიდი მდებარეობს მდ. კინტრიშზე ქობულეთსა და ჩაქვს შუა—ქობულეთიდან 1 ვერსის მანძილზე. ინგლისელი მცველები ხიდზე არ ყოფილან. ხიდის შესაკეთებლად ჩვენი რკინის გზის სამმართველოს მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები. ამ ჟამად მოძრაობა რკინის გზაზე ამ ადგილას სწარმოებს გადაჯდომით. ამ დღეებში განახლდება პირდაპირი მიმოსვლა. საქმის დაწვრილებით გამოსარკვევად ადგილობრივად გაემგზავრნენ: იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ჟორდანია, ტფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი ნ. ტატიშვილი და სისხლის სამართლის მილიციის უფროსი პლ. ფაჩულია. სადგურ რიონზე მათ შეუერთდება ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი ჯორბენაძე და იმავე სასამართლოს გამომძიებელი დევიძე.

◆ **აკაკი ჩხენკელი აჭარაში.** დამფუძნებელი კრების წევრმა აკ. ჩხენკელმა შემოიარა ბათუმის ოლქი, ინახულა ახალციხე და აბასთუმანი. აჭარაში ხალხმა დეპუტატი ზეიმით მიიღო. (ს. დ. ს.).

◆ **ქართული დასი ბათუმში.** ქართულ მსახიობთა დასი შ. დადიანის ხელმძღვანელობით ბათუმში მართავს წარმოდგენებს, რომლებსაც დიდის სიხარულით ეგებება საზოგადოება. ნ. ჩხეიძის იუბილე ბრწყინვალედ ჩატარდა.

◆ **ნაძალადევის რაიონის** ს.-დ. ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის [illegible] ყარაბაღ-ზანგეზურის ამბებისა და საქართველოს დამფუძნებელ კრების მუშაობის, აღთქმას სდებს, რომ მუდამ მხარში ედგება დამფ. კრებას მის დემოკრატიის სასარგებლოთ მუშაობის დროს.

◆ **„გორის ფონდი".** მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ჩუღურეთის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ შესწირა 1,500 მანეთი.

◆ **საქართველოს სახელმწიფო ბანკის** მმართველმა იას. ლორთქიფანიძემ

გადუხადონ სახელმწიფო კონტროლიორს დახურვისათვის პროექტი ბანკის ხარჯთაღრიცხვისა 1920 წლის 1 მაისამდე 21 დეკემბრამდე. ხარჯთაღრიცხვა უკვე განხილულია და მიღებული ბანკის საბჭოს მიერ პროექტით, ყველა მოსამსახურეთა რიცხვი განსაზღვრულია 95 და მათი თვიური ჯამაგირი 601 ათას მან. მოსამსახურეებს ჯამაგირები დანიშნული აქვთ ძირითად საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეების საშუალო ჯამაგირების მიხედვით, მხოლოდ დაბალ მოსამსახურეებს დანიშნული აქვთ ამ საშუალო ჯამაგირებზე ცოტა მეტი, უფროს მოსამსახურეებს ცოტათი ნაკლები. სხვა სამეურნეო ხარჯები გამოანგარიშებულია 3 065 ათას მან. მთელი ხარჯთაღრიცხვა გამოიხატება 7,873 ათას მანეთში.

◆ **ჩოხატაურის რაიონის კოოპერატივთა** კავშირმა „მნათობმა" სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციას შესწირა 2000 მან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, შაბათს 24 აპრილს წაიკითხავენ ლექციებს ცენტრში: 1) სერ. ჟორჟოლიანი—პოლიტიკური ეკონომია; 2) ტყემალაძე—მეცნიერება სახელმწიფოზე.

◆ **წარმოდგენა.** სახალხო გვარდიის ნაძალადევის უბნის შტაბთან არსებული კლუბი განაახლა. სექცია მართავს ავჭალაში კვირას, 25 აპრილს, საღამოს, წარმოდგენილი იქნება: „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს". კონცერტი—დივერტისმენტი.

◆ **„ეშმაკის მათრახი".** გამოვიდა „ეშმაკის მათრახის" მორიგი ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია წერილები: თავფურცელი, მოტივები, შექსპირის ლექსები, მრავალი კარიკატურები და სხვა მასალები.

◆ **ავთალაქებში მომუშავეთა კრება.** კვირას, აპრილის 25 დილის 9 ს. კავკასიის სამკურნალო საზოგადოების დარბაზში (პუშკინის სახელობის სამკითხველოს ზევით) დანიშნულია საზოგადო კრება თბილისის ავთალაქებში მომუშავეთა კავშირის წევრებისა. თუ აღნიშნულ დროს კრება არ შედგა, მეორე კრება დანიშნულია იმავე დღეს დილის 10 ს. და კანონიერი იქნება რამდენიც წევრიც უნდა გამოცხადდეს. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) ეკონომიური საკითხი, 2) მიმდინარე საკითხები. კავშირის გამგეობა სთხოვს ამხანაგებს უეჭველად დაესწრონ კრებას და ნურც დაიგვიანებენ.

◆ **ძველ მოწინავე** ს. დ. მუშების ყრილობაზე არჩეული კომისიის პრეზიდიუმი იწვევს კომისიის კრებას კვირას, 25 აპრილს, კომისიის წევრებს სთხოვენ უსათუოდ მობრძანდნენ სასახლეში, ს. დ. ფრაქციის ოთახში დილის 10 საათზე.

◆ **საპარკის ბათალიონის და საინჟინრო** გუნდის კულტურულ-განმანათლებელ სექციასთან არსებული დრამატიული დასი 23 აპრილს გაემგზავრა ახალციხეში წარმოდგენების გასამართავად ჯარისკაცების და გლეხებისათვის. წარმოდგენილი იქნება „ბუგერონი", „შურის ძიება", „პატარა კახი" და სხ. უკან დაბრუნებისას გამართავენ წარმოდგენებს ბორჯომში და ხაშურში.

— საპ. ბათალიონის და საინჟ. გუნდის თეატრის გადასაკეთებლად გვარდიის მთავარმა შტაბმა გადასცა 130 ათასი მანეთი.

სავაჭრო სამრეწველო პალატა. 22 აპრილს 1920 წ. კურსი: სტერლინგი ა) ბანკნოტი 1125, ბ) ჩეკი 1080; ფრანკი ფრანც. ა) ქაღალდი 22,50, ბ) ჩეკი 18,50; ლირა იტალ. ა) ქაღალდი 15, ბ) ჩეკი 13,75; ლირა თურქ. ა) ოქრ. 1300, ბ) ქაღალდი 249, გ) ჩეკი 236; მარკა გერმან. ქაღალდი 5; დოლარი 290, ჩეკი 285; მან. ყოფ. რუს. იმპერ. ა) ოქრ. 10 მან. 1650, ბ) ქაღ. 100 მ. 280 გ) ქაღ. 500 მ. 1450

◆ **ხოფიდ ცაიშში** (ზუგდიდის მაზრა) რომელიც შორავს ზუგდიდის კანტორასთან 10 ვერსით, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

◆ **აბანოები.** კვირას, 25 აპრილს ყველა გოგირდის აბანოები ღია იქნება. მთელი ამ დღის შემოსავალი გადაეცემა გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

◆ **ს. საგარეჯოში** კვირას, 25 აპრილს გაიმართება ყრილობა საგარეჯოს რაიონის მეცხოველეობისა. მოხსენებას მიმდინარე მომენტზე გააკეთებს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. ალექსანდრე ლომთათიძე.

◆ **დიდი საღამო** გაიმართება დღეს, 24 აპრილს მოწაფეთა საბჭოს მიერ მე 2-ე ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (ნავთლუღის ქუჩა, 11). ცენტრ. მოწაფეთა კომიტეტის დაარსებულ „ახალგაზრდა მოწაფეთა სახლის" სასარგებლოდ.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში სამხედრო მოწოდებაში შემდეგი კორექტურული შეცდომა: პოლიტიკური გამოსვლა სასურველი არაა; უნდა იყოს პოლემიკური და სხ.

კრებები.

კვირას, 25 აპრილს, დილის 10 ს. ალავერდის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ს. ს.-დ. მ. პ. მეხამე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია პარტიული ყრილობის დღიური წესრიგი, ასარჩევია ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები. კრებას დაესწრება ამხ. ნ. რამიშვილი. ყველა პარტიის წევრი ვალდებულია გამოცხადდეს კრებაზე და თან იქონიოს პარტიული წიგნაკი.

— დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს.-დ. ქალთა კომიტეტის მორიგი სხდომა მეორე რაიონის ბინაზე.

— დღეს, საღ. სრულ 5 საათზე დანიშნულია მე-2 რაიონული კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, საღ. 5 საათზე დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქ. ორგ. ცეკას სასწრაფო კრება. გასარჩევია ფრიად სასწრაფო საკითხები

— შაბათს, 24 აპრილს, საღ. 8 ს. სავაჭრო საზოგადოების დარბაზში—ალექსანდრეს ბაღი, შესდგება საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადო კრება.

— შაბათს, 24 აპრილს საღამოს 5 საათზე შესდგება 1-ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება.

— ქართულ მომღერალთა პროფ. კავშირის გამგეობა იწვევს კავშირის წევრთა საზოგადო კრებას 25 აპრილს კავშირის ბინაზე (პეტრე დიდის ქ. № 8.)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ამ დღეებში გაიგზავნება ყველა გაზეთების გამყიდველებს გაზეთებთან ერთად სამაისო ფურცლები. ეს ფურცლები უნდა გადაეცეს ადგილობრივ ორგანიზაციებს ხალხში გასავრცელებლად. კანტორა განათლების და რკინიგზის კულტურა-განმანათლებელ კომისიის სექსპედიციით განყოფილებას სთხოვს სამაისო ცენტრალური კომისია ეს ფურცლები მიღებისთანავე დაურიგონ გაზეთებთან ერთად თავის აგენტებს, რომელთაც ვალდებულად დაუყოვნებლივ გადასცენ ფურცლები ადგილობრივ ორგანიზაციებს. ფურცლები უნდა დარიგდეს უფასოდ და ისეთ პირებს მიეცეს, ვინც გაზეთს არ იწერს, არ ყიდულობს. გაზეთებში ამ ფურცლების შინაარსი დაბეჭდილი იქნება.

ამხანაგებო! ამ ფურცლებს ხალხში ფართოდ გავრცელება გადაეცემა ყველგან. წაიკითხეთ და გადაეცით ის თქვენს ამხანაგებს, მეზობლებს, ნაცნობს, თუ უცნობს. არ დარჩეს ამხანაგი, არ დარჩეს მოქალაქე, რომელმაც არ მიიღოს მონაწილეობა პირველი მაისის დღესასწაულში და არ შეუერთდეს ის საერთაშორისო მშრომელთა დიად მოძრაობა დემონსტრაციას.

ცენტრალური სამაისო კომისია.

ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ნაძალადევის მუშათა კლუბი დამთავრდა. რკინისგზელების და ჩვენი მუშების გრძნობით აშენდა ეს კლუბი იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება რევოლუციის აკვანი... ნაძალადევის კლუბი, რომელსაც ჩვენი მასწავლებლის პლეხანოვის სახელი დაერქმევა, ერთ საუკეთესო კლუბათ უნდა ჩაითვალოს ჩვენში. ნაძალადევი ისტორიული უბანია. აქ აღიზარდა პირველად ინტერნაციონალის წითელი დროშა ჩვენში. აქ ჩაისახა მოწინავე მუშების წრე, რომლის ირგვლივ შემდეგ თავი მოიყარა ჩვენმა მუშათა კლასმა. დღეს მძიმე მორეკვლებისაგან განთავისუფლებული მუშათა კლასი უფრო მეტი მოთმენებლობითი მუშაობას, ის ქმნის კულტურულ დირებულებებს. და ერთ ასეთ კულტურულ დირებულებათ უნდა ჩაითვალოს ნაძალადევის კლუბიც. ეს კლუბი უნდა იქმნეს სამაგალითო კლუბათ. რატომ? იმიტომ, რომ ის ააგეს სწორედ იმ მუშებმა, რომელთაც კანონიერად დაიმსახურეს ჩვენს რევოლუციაში პიონერების სახელი. და ამ პიონერების მუშათა კლუბი, ცხადია, სამაგალითოდ უნდა დარჩეს მუშათა კლუბების რიცხვში. ნაძალადევის მუშათა კლუბის გახსნა განზრახულია 1 მაისს. ამ საერთო დღესასწაულის დღეს, როცა მთელი ინტერნაციონალური დემოკრატია დღესასწაულობს შრომის თავისუფლებას, აქ, ამ ჩვენს ისტორიულ უბანში ეს დღესასწაული იქნება გაორკეცებული. საერთო დღესასწაულს თან დაერთვის შინაური, ტკბილი, ლამაზი დღესასწაული. ამ დღეს თბილისის ქვეყნის რკინის გზელები და ნაძალადევის მუშები ხსნიან თავიანთ მუშათა კლუბს.

ინტერნაციონალის ბრწყინვალე დღეს ჩვენი პირველი მუშა ინტერნაციონალისტები, ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულები, ხსნიან მუშათა კლუბს, სადაც მათ უნდა მიიღონ განვითარება, ზნეობრივი ამაღლება, ხელოვნების სიყვარული.

განსაკუთრებულმა კომისიამ ამ დღეებში გამოიმუშავა კლუბის გახსნისთვის შემდეგი პროგრამა.

ფარდა აიხდება ინტერნაციონალის სიმღერით.

სცენა იქნება მორთული ინტერნაციონალის მოღვაწეთა სურათებით.

სცენაზე თავმოყრილნი იქნებიან სხვადასხვა მუშათა და საზოგადო ორგანიზაციებიდან მოწვეული წარმომადგენლები.

კლუბს გახსნის რკინის გზელთა პროფ. კავშირის ცენტრალური გამგეობის წარმომადგენელი მოკლე სიტყვით.

კლუბის გახსნის შემდეგ პირველ სიტყვას მუშათა კლუბების საერთო მნიშვნელობაზე იტყვის ჩვენი დემოკრატიის სახელოვანი ბელადი ნოე ჟორდანია.

შემდეგ იქნება მილოცვები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

მეორე განყოფილებაში ქართულ რიგ სულით დაიდგმება ერთი მოქმედებიანი პიესა.

მესამე მოქმედებაში იქნება კონცერტი დივერტისმენტით. მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი მომღერლები და მუშათა მწერლები.

მეოთხე განყოფილებაში — სცენაზე დაიდგმება ცოცხალი სურათები ინტერნაციონალის სიმღერებით.

რადგან ყველანი ვერ მოთავსდებიან კლუბში, ამიტომ ეზოში იქნება პიროტექნიკური და მუსიკა.

ცენტრალური გამგეობა რკ. გზ. პრ. კავშირისა უკვე შეუდგა ამ დღესასწაულისთვის სათანადო მზადებას და, იმედია, ეს სასიხარულო დღე მწყობრად და ლამაზად ჩაივლის საერთაშორისო პროლეტარიატის ზეიმთან ერთად.

პირველი მაისი—საერთაშორისო პროლეტარიატის ბრწყინვალე დღესასწაულია...

პირველი მაისი—გაზაფხულის დასაწყისია.

პირველი მაისი—რენესანსის, აღორძინების ემბლემაა...

და დაე, ამ დღეს გახსნილი ნაძალადევის მუშათა კლუბიც ჩვენი კლასის კულტურულ ამაღლებითი სფეროში იყოს აღორძინების ემბლემა.

არჩილ რუხაძე.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

რუსეთი.

ბოლშევიკები და ანტანტა. ერთ-ერთ მოკავშირე სახელმწიფოს გაზეთით საზღვაო მოლაპარაკება ანტანტასა და ბოლშევიკებს შორის უკანასკნელ ხანებში განგრძობულა სწრაფად და დასრულდა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც, როგორც ამბობენ, თითქოს მიღებულია ორივე დაინტერესებულ მხარეთა მიერ.

ეს პროექტი შემდეგ დებულებებს შეიცავს: მოკავშირეები რუსეთის ერთადერთ მთავრობად სცნობენ საბჭოთა მთავრობას და დეიურეობენ მას ოფიციალურად. მოკავშირეები გავლენას მოახდენენ გენ. ვრანგელზე, რათა მოისპოს ყირიმის ფრონტი და ყირიმი საბჭოთა რუსეთს შეუერთდეს. ბოლშევიკები მოიწვევენ დამფუძნებელ კრებას და შეადგენენ კოალიციონურ კაბინეტს, რომელშიაც შევლენ ყველა სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები. ბოლშევიკები სცნობენ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ყველა ახალ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას. ბოლშევიკები სცნობენ პოლონეთის საზღვრებს მდ. ბერეზინამდე და აღუთქვამენ დაუბრუნონ რუსეთის სახელმწიფო ვალის ის ნაწილი, რომელიც პოლონეთზე მოსულა წილად. ბოლშევიკები უარს იტყვიან ინდოეთის წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკაზე და აგრეთვე შესწყვეტენ ბოლშევიკურ აგიტაციას ევროპაში. ბოლშევიკები სცნობენ ამნისტიას ყველა თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ; აცხადებენ აგრეთვე „მოხალისეთა" ამნისტიასაც და უზრუნველყოფენ მათ ხელშეუხებლობას. ბოლშევიკები ნებას მისცემენ წავიდნენ უცხოეთში ყველა ის მონარქისტები, რომელთაც სურთ რუსეთი დასტოვონ. გენ. ვრანგელსა და სხვა „მოხალისეებს" ნება ეძლევათ წავიდნენ რუსეთიდან ევროპაში, თუ ამას ისინი მოისურვებენ. ყველა ხელშეკრულების გაზით ახლო მომავალში გამოქვეყნებული იქნება ფრიად დიდი მნიშვნელობის აქტი. მოკავშირეთა ბრძანებას იმის შესახებ, რათა გზაში შეეჩერებინათ ყირიმში მიმავალი გემები, ამბობენ, კავშირი აქვს ბოლშევიკებსა და ანტანტას შორის წარმოებულ მოლაპარაკების აღნიშნულ შედეგებთან. („ბრ.")

სომხეთი.

სომხეთ ადერბეიჯანი და ინგლისი. სომხეთის მმართველ წრეებში ბევრს ლაპარაკობენ იმ დეპეშის შესახებ, რომელიც გამოგზავნილია ლონდონიდან სომხეთის წარმომადგენლის აჰარონიანის მიერ. როგორც ამბობენ, აჰარონიანის დეპეშა შემდეგი შინაარსისაა: აჰარონიანი მიუწვევია ლორდ კერზონს და განუცხადებია, რომ თუ სომხეთი არ შესწყვეტს სამხედრო მოქმედებას ადერბეიჯანის წინააღმდეგ, ინგლისი ყოველგვარ დახმარებას შეუწყვეტს მას, თუ უკანასკნელი კრიტიკულ მდგომარეობაში მოექცევა. შემდეგ დეპეშაში აჰარონიანი თავის მხრივ ამბობს, რომ სომხეთ-ადერბეიჯანის კონფლიქტი ცუდ რეპუტაციას უქმნის სომხეთს ევროპაში და ძირს უთხრის ინგლისის ნდობას სომხეთისადმი. („ბრ.")

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲤ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲔᲛ. ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ

(წერილი ს. ივანდიდან).

(დასასრული)

პირადად მე არას დროს არ ვყოფილვარ ინიციატორი კავშირის დაარსებისა. ეს თვით მუშების საქმეა. მაგრამ მე ახლოს ვდგევარ ამ კავშირთან და ჩემში ის სრულს თანაგრძნობას პოულობს. ეს შემთხვევითი და არც წყვეტილი ამის საჯაროდ აღიარება. მაგრამ ეს გარემოება ბოროტად უნდათ გამოიყენონ ეროვნულ დემოკრატებმა და ქ. თავს მოახვიონ ყველაფერი თავზე, როგორც მთავრობის წარმომადგენელს. აქ მათი მიზანი ბრმათვისაც კი ნათელია. მათ ჯერ ის წარმოუდგენიათ, რომ ქალს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება და მოქმედება საზოგადო სარბიელზე. მათი აზრით ჩემი ასეთი მხურვალე თანაგრძნობა მუშათა კავშირებისადმი უთუოდ ქმრის შეთანხმებით უნდა ხდებოდეს. მონობის და ბატონობის მოტრფიალე ეროვნულ დემოკრატებისაგან უფრო სხვა შეხედულებას ქალზე ჩვენ მაინც არ მოველოდით, ამისათვის ამაზე ჩვენ ლაპარაკს არ შევჩერდებით. რომ ქალაქის თავს არც კავშირის დაარსებაში და მის მუშაობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, რომ ქალაქის თავი მუდამ ამის ცოდნაში იყო, რათა მოწინააღმდეგე მხარეებს მთავრობისათვის და ხალხისათვის ეჭვეული თვალით აეცილებინა, ამაზე ნ ნი შრომის კომისარიც დარწმუნდა და მთავრობის გამომძიებლიც დაამტკიცებს. მაუზერიანით დაცინვებული აგიტაციის კავშირის წინააღმდეგ, ბ-მა ილარიონ ღლონტმა ჯერ ჯარით მხოლოდ 11 კაცი ჩაუყენა. კავშირი იძულებული შეიქნა აგრეთვე გადაეცვს თავის 11 კაცის წინააღმდეგ მიმართული. ეს მოხდა არა ერთი და ორი პირის შთაგონებით, არამედ მაინც ყველა უბნის კავშირთა კავშირის საბჭოს დადგენილების თანახმად, რომელშიაც შედის ყველა პარტიის წარმომადგენლები. ეროვნულ დემოკრატიის გამოცხადებამდის კიდევ სცადა მოლაპარაკებანი გამართვა შემოხვეწილ 11 კაცთან და საქმის მორიგებით გათავება. ამ მიზნით მან ხელახლად მოიწვია ისინი, მაგრამ ყოველივე ცდამ, რათა შეთანხმებით გადაეწყვიტათ საქმე,—უნაყოფოთ ჩაიარა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდა ბოიკოტი, რომლის ძალითაც აკრძალულ იქნა 11 კაცისათვის სამუშაოს მიცემა, მათ საკუთარ წისქვილებზე დასაფქვავად ხორბლის მიტანა; ამასთანავე გადაწყდა წისქვილიდან და მათი ოჯახებიდან მოხსნა მუშების კულტურული ნაწილებით და ზნეობრივი გავლენის საშუალებით. არავითარ ძალმომრეობას, შეურაცხყოფას, ძარცვა-გლეჯას, სახლში შევარდნის გზა რაიმის მიზნით და ტერორის ადგილი არ ჰქონია, ეს მხოლოდ გაზ. „საქართველოს" კორესპონდენტების შეთხზული ამბებია. რომ ეს პირები, ამას იმედით მთავრობის გამომძიების დროს, რომელიც სასურველია მოხდეს რაც შეიძლება მალე, დაამტკიცებენ შრომის და სამაზრო კომისრები, რომლებმაც მოახდინეს ს. ივანდში საჯარო გამოძიება და დარწმუნდნენ, რომ არავითარ ძალმომრეობას კავშირის მხრივ ადგილი არ ჰქონია და კავშირის მოქმედება კანონიერების ფარგლებს არ გასცილებია.

შრომის კომისარმა მოიწვია გაფიცული 11 კაცი და კავშირის წევრები და მოახდინა მათ შორის შეთანხმება. გვეგონა საქმე ამით დაბოლოვდებოდა, მაგრამ ბ-ნ ილარიონ ღლონტს არ აძლევს ნებას დამფუძნებელ კრებაში მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანის შესაძლებლობა მით გვხსნებით, რომ ეროვნულ დემოკრატებს სწადიათ შეკითხვის შეტანა სულ უბრალო და უმნიშვნელო საკითხებზედაც. თვით ღლონტს სურდა წყლის ამღვრევა და შემდეგ ამღვრეულ წყალში თევზების დაჭერა. სულ ცოტა გამოწვევებია საკითხი იმდენათ, რომ აგრეთვე მუშები გადაიდგათ ისეთი არა-სასურველი ნაბიჯები, რომლებიც საბაბს მისცემდა ეროვნულ დემოკრატებს დამფუძნებელ კრებაში შეკითხვის შეტანისა. ღლონტმა სადღაც გაზ. შრომის კომისართან გამოტანილი დადგენილების მუხლები და ბოლო დაარღვია შრომის კომისრის მიერ მიღებული შეთანხმება. 11 ბოიკოტ გამოცხადებულმა პირებმა შეთანხმების შემდეგ წისქვილიდან დაითხოვეს ის თავის მეწისქვილე, რომელმაც შრომის კომისარს არ მისცა კავშირის წინააღმდეგ ყალბი ცნობები და თავის ჩვენებით დაამტკიცა, რომ კავშირს მისდამი არ უხმარია არავითარი ძალ-დატანება. ამნაირათ მიწის პატრონებმა შეური იძიეს საწყალ მეწისქვილეზე. ამ გარემოებამ იგივე გამოიწვია კავშირისა და მათ შორის დამოკიდებულებაში და ამის სულის ჩამდგმელი ბ-ნი ილარიონ ღლონტი გ. ი. მთელი ამ ახალი უთანხმოების, რომელიც ხელახლად დაიბადა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ გამოვიდნენ, რომ კავშირი არ ასცდენია არასოდეს კანონიერების და სამართლიანობის გზას, რომლითაც ის მიდიოდა. ამის თვალსაჩინო კავშირის ხელმძღვანელთა სიფხიზლე და ტაქტი. ყველა ზევით მოყვანილ ფაქტების შემდეგ კიდევ ბევრს ვიხმე დიდის მესხი თავის კორესპონდენციაში „საქართველოს" № 73-ში თავი მოიკატუნოს მთავრობის დამცველად და გულმოდგინედ, ის ბრძანებს უშიშოდ არ გამოაცხადოს მთავრობის „მოწინააღმდეგე ელემენტები". ნამდვილად კი ის თვით აბეზღებს საზოგადოებას მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლის—ქ. თავის წინააღმდეგ დაუფიქრდება თავისივე სიტყვები მისი კორესპონდენციის ბოლოში, რომ „ასეთი კავშირები არსდება არა მარტო ხონში არამედ მთელს რაიონში. მე დავუმატებ, რომ ხონის რაიონის გარდა არსდებიან ისინი. სიმართლით კიდევ შორმან დაარსდა ასეთი კავშირები, მაგრამ არავის ეს კავშირები კანონს გარეშე არ გამოუცხადებია და არც ქ. თავისთვის დაუბრალებია. ალბათ ბ. დათიკო მესხისათვის „ერთგული" არავინ აღმოჩნდა ჩვენ მთავრობას სამსახურში. ამ მხრივ კი ჩვენი ხონი დაჩაგრულია. არა ბატონებო! ასეთი ტყუილებით ფონს ვერ გახვალთ. თქვენი ზნეობრივი და პოლიტიკური ავლა დიდება ხალხი საკმაოდ კარგად იცნობს. მან კარგად იცის, თუ რასა გეშინიათ თქვენ? თქვენ გეშინიათ—კავშირებმა არ განამტკიცოს ჩვენი მთავრობის მდგომარეობა და ბოლოს არ მოუღოს ეროვნულ-დემოკრატების და ანარქისტების თარეშს და პროვოკაციას ხალხში. აი რა გიფრთხობთ თქვენ ძილს!

მტკნარი სიცრუეა ისიც, თითქოს კავშირი ქურდ-ბაცაცებისაგან და კაცის მკვლელებისაგან შესდგებოდეს. რატომ არ ინება და ერთი ასეთი მაინც არ დაგვისახელა გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენტმა? არ დაგვისახელა იმიტომ, რომ ამ მინის ტრაკის, როგორც ადგილობრივმა, ისე სამაზრო უკვე ხელში აქვს გამგეობის ხელმძღვანელ ორგანოთა წევრების სია, რომლებშიაც ასეთი ერთიც არ მოიპოვება. მტკნარი სიცრუეა ისიც, თითქოს კავშირის გამგეობის წევრები იღებენ მუშებისაგან ფულს თავის შრომის ჯილდოდ ეს ასე არაა. რაც შეეხება ეროვნულ დემოკრატების აგენტებს, ბერძენი ენები ამბობენ, თითქოს ეს ვაჭრობენ 15 ათასობით იღებენ ბოიკოტ გამოცხადებულ პირებისაგან კავშირის წინააღმდეგ საქმის საწარმოებლად. ისეთი ხმები ტრიალებს საზოგადოებაში. ვინომ სხვა რა უნდა ახულდგებულებდეს პროვოკატორებს და რეაქციონერებს, რომელთაც ვერ მოუთმენდებიათ საქართველოს თავისუფალი წყობილება და მუშების თავისუფალი ამოხვნეთქვა.

ნადეჟდა გიორგის ასული გარდაფხაძისა.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ

პარიტეტულმა კომისიამ თავის სხდომაზე 15 აპრილს მოისმინა რა მუშათა სექციის ცნობა იმის შესახებ, რომ დამქირავებლები გვერდს უვლიან 14 იანვრის 1918 წ. დეკრეტის იმ ნაწილს, რომელიც ეხება მუშების შრომის ბირჟის საშუალებით მიღებას, საჭიროდ სცნო მიიღოს შემდეგი ზომები: 1) წინადადება მიეცეს მეწარმეების საზოგადოებას, და აგრეთვე ყველა სახელმწიფო, საზოგადო და ქალაქის დაწესებულებებს და წარმოებებს—გაატარონ ცხოვრებაში დეკრეტის 2 მუხლი; 2) წინადადება მიეცეს პროფესიონალურ კავშირებს, რომელთაც არ აქვთ წარმოებებთან კოლექტიური ხელშეკრულება, დახმარება გაუწიონ შრომის ბირჟას დეკრეტის ცხოვრებაში გატარებისათვის, რისთვისაც ეთხოვოს მათ დაუყონებლივ აცნობონ მას შემთხვევები, როდესაც დამქირავებლები დაარღვევენ 2 მუხლს, და აგრეთვე აწარმოონ აგიტაცია თავიანთ წევრთა შორის, რომ ისინი უმუშევრობის დროს ჩაეწერონ შრომის ბირჟაში; 3) იმ კავშირებს კი, რომელთაც აქვთ კოლექტიური ხელშეკრულება რომლითაც მუშები მიღებულ უნდა იქნენ მათი საშუალებით, წინადადება მიეცეს კავშირთა საბჭოს საშუალებით შეცვლილ იქნეს ეს მუხლი შრომის ბირჟის საშუალებით მიღების აზრით; 4) წინადადება მიეცეს ყველა უმუშევრებს აცნობონ შრომის ბირჟას დამქირავებლების მიერ დეკრეტის დარღვევის შესახებ; 5) უფლება მიეცეს გამგეს ადგილობრივად გასინჯოს, თუ რამდენად ასრულებენ დამქირავებლები 2 მუხლს; 6) იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებლები არ ასრულებენ 2 მუხლს დეკრეტისას, ეცნობოს ამის შესახებ შრომის კომისარს ახსნით, რომ მიიღოს შესაფერი ზომები მის ცხოვრებაში გატარებისათვის.

ამ სხდომაზევე კომისიამ, განიხილა რა საკითხი ბირჟის საზაფხულო კინემატოგრაფის შემდეგი მუშაობის შესახებ, დაადგინა საჭიროდ და წლის მოსალოდნელი ზარალის გამო, არ გახსნას იგი. კინემატოგრაფიული აპარატი კი, გადაეცეს დროებითი სარგებლობისათვის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატს, რომელსაც განზრახვა აქვს გახსნას კინემატოგრაფი მუშათა სასახლის შენობის ზევით.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ"

ბავშვები და პირველი მაისი. „ბავშვის კავშირის" გამგეობა ქალაქის გამგეობის სოციალური განყოფილებასთან ერთად კვირას, 25 აპრილს, დილის 11 საათისათვის ქალაქის საბჭოს სხდომების დარბაზში იწვევს ყველა საბავშვო თავშესაფრების წარმომადგენლებს, თავშესაფარის ბავშვების მიერ მუშათა დღესასწაულში 1 მაისობაში, მონაწილეობის მიღების შესახებ მოსალაპარაკებლად.

საბავშვო სახლებში ბავშვების მიღება. (საზოგადოება „ბავშვის კავშირის"-მა გადასწყვიტა საბავშვო თავშესაფარებს ეწოდოს „ბავშვთა სახლი") 21 აპრილის სხდომაზე გამგეობამ გადასწყვიტა მიიღოს 10 ბავშვი, რომელნიც მოთავსდა ორ ბავშვთა სახლში ნაწილი ყოფილ დიმიტრის სახელობის საბავშვო თავშესაფარში და ნაწილიც თავის თავშესაფარში. ამ ათი ბავშვიდან 3 ბავშვი გამგეობის წევრის მიერ ქუჩიდან იქნა აყვანილი, რომელთაც დედა მძიმე ავადმყოფი უწევს არამიანცის სახელობის საავადმყოფოში, 3 ობოლი ათანდილეები, 2 სარუხანოვები და ორიც გრიგოროვები. ამათ გარდა კიდევ 5 ბავშვის მდგომარეობის გამოკვლევა დავალებული აქვს გამგეობის რამდენიმე წევრს და გამოკვლევის შემდეგ მიღებული იქნებიან.

გამგეობა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

[illegible]. 20 აპრილს შესდგა პარტიის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვ. კაკასიძე, მდივნად რ. რამიშვილი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები. 1) მოხსენება, 2) წარმომადგენლების არჩევა რაიონულ კოლექტივში, 3) პირველი მაისის დღესასწაულის მოწყობა, 4) ბორჩალოს მაზრის ს. დ. მ. პარტიის წევრთა წარმომადგენლების ყრილობა სამაზრო კომიტეტის შესადგენად, 5) პარტიული მუშაობის გაძლიერება და 6) წარმოდგენის გამართვა.

მოხსენების შემდეგ კოლექტივის წევრებად არჩეულ იქნენ: ბოლქვაძე-შვილი, ვ. კაკასიძე, 3. ბედიაშვილი. კანდიდატებად: გაბაშვილი, პეტრიაშვილი ვან.

ერთ ხმად გადაწყდა მოეწყოს პირველი მაისის დღესასწაული. ტექნიკური მოწყობა და იდეური ხელმძღვანელობა მიენდოს კოლექტივს.

დაადგინეს: მოწვეულ იქნას პირველ მაისის დღესასწაულზე ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ყრილობა კი გაიხსნას 2 მაისს. წარმომადგენლებისთვის ბინის შოვნა დაევალოს კოლექტივს.

მეოთხე საკითხის შესახებ დაადგინეს: მუშაობის გამოსარკვევად ამხანაგები იმის გამო, რომ დღემდე არ ყოფილა ჯეროვანი ყურადღება მიქცეული პარტიულ მუშაობისათვის, რაც ამიერიდან უნდა გასწორდეს. დაევალა კოლექტივს: შექმნას სამეცადინო წრე, მოამზადოს ამხანაგები, გახსნას პარტიული კლუბი და სისტემატიური აწარმოოს პარტიის წევრთა შორისაც მეცადინეობა და სხ. შემდეგ ერთხმად გადაწყდა გაიმართოს წარმოდგენა პარტიის სასარგებლოთ პირველ მაისს. სისრულეში მოყვანა დაევალა კოლექტივს.

ი. ჟ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲙᲐᲡᲐ

(ანგარიში იანვრის პირველიდან აპრილის პირველამდე).

საწარმოთა დაწესებულებათა და კასაში მონაწილეთა მოძრაობა თვეურად. მიმდინარე წლის პირველ იანვარს კასაში ითვლებოდა 83 საწარმოთა დაწესებულება და 2400 სული მონაწილე: თამბაქოს მწარმოებელი—10; გაზეთის და ქარხნების—10; წყალსადენი—2; საპნის—2; ლითონის და ქიმიური—20; ხის—1; მარმარილოს—1; საპარიკმ.—5; სტამბები და ლითოგრაფ.—მექანიკური—32. ამ წლის იანვრიდან კასას შეუერთდა საავადმყოფო კასა „ორიენტალი", რომელშიაც 15 საწარ. დაწესებულება და 400 მონაწილე მუშა ითვლება; 6 ელექტრონის სადგური 94 მონაწ. მუშით; 6 აბანო 294 მონაწილეთი (256 კაცი და 38 ქალი). იანვარში მოხდა ერთი დაწესებულების „სტეპანისა და ამხ." ლიკვიდაცია, რო-

წელშიაც 95 კაცი ითვლებოდა (70 კაცი და 25 ქალი). იანვრის განმავლობაში კასაში ითვლებოდა 121 დაწესებულება 2799 სულ კასაში მონაწილე მუშებით (1769 კაცი და 1030 ქალი). პირველ თებერვლისათვის იყო 120 დაწესებულება 2782 მუშით; ამათგან კაცები—1699 და ქალები—1005.

თებერვალში კასაში შემოვიდა სამხედრო სამინისტრო კომიტეტის ფეხსაცმელების სახელოსნო, რომელშიაც 80 მუში ითვლება; თებერვალშივე მოხდა ლიკვიდაცია თამბაქოს ფაბრიკის „მირზა"-ისა, რომელშიაც 172 მუშა ითვლებოდა (88 კაცი და 84 ქალი). სულ დაწესებულებათა რიცხვი თებერვალში უდრის 120, რომელშიაც 2782 მუშა-მონაწილე ითვლება (1758 კაცი და 10004 ქალი), რადგანაც „მირზა"-ის ფაბრიკის მუშების ნაწილი სხვა ფაბრიკებში გადავიდა. მარტში კასას შეუერთდა: ალექსანდროვის საავადმყოფო კასა, რომელშიაც 9 დაწეს. და 256 მონაწილე მუშა ითვლება (234 კაცი და 2? ქალი); თამბაქოს ფაბრიკა „კავკაზ"-ი 20 მუშით (5 კაცი და 15 ქალი); კარობკის სახელოსნო სარკისიანცისა 9 კაცით (4 კაცი და 5 ქალი); საქსოვი სახელოსნო კურჩიანცისა 16 სული მუშით (1 კაცი და 15 ქალი); 3 სახვრეტი ქარხანა 81 მუშით; სტამბა „მამული" 6 სული მუშით. ლიკვიდაცია საქსოვი სახელოსნოების: კარაპეტიანისა—36 მუშა მონაწილე (19 კაცი და 17 ქალი), იხვემისა—20 სული, ტატიანკვეიშვილისა—18 სული, მექანიკური სახელოსნო ვატიანძისა და კომპანიისა—15 სული. ამრიგად, მარტის განმავლობაში და პირველ აპრილისთვის კასაში ითვლებოდა: 126 დაწესებულება 3181 მონაწ. მუშებით; ამათგან 2107 კაცი და 1074 ქალი; აგრეთვე კასაში ითვლება დაწესებულებები: მექანიკური სახელოსნოები წულაძისა და შენდერკიძისა და ელექტრონის სადგურები—„სიდა", თამამშევის, კორგანოვისა ტუიცუროვა ეკონომიური საზოგადოების, კარაკოზოვისა, „ლეიგატელ.", არტისტიულ საზ.-ისა, ამერიკ. და ადამოვისა, მაგრამ იქედან კასას ჯერ კიდევ არავითარი ცნობები და თანხა არ მიუღია იმის მიუხედავად, რომ ჯერ რამოდენიმე თვეა ისინი გადარიცხული არიან კასაში კომისარის მიერ; მექანიკური სახელოსნოები გადარიცხული არიან ჯერ კიდევ მარტში, ხოლო ელექტრონის სადგურები მიმდინარე წლის იანვრიდან.

ავადმყოფობა. განვლ. სამი თვის განმავლობაში ავადმყოფობის და უბედური შემთხვევითა გამო დაიკარგა 6764 სამუშაო დღე, აქედან უბედური შემთხვევების გამო—169 დღე. სულ დაიკარგა კვირა-უქმე დღეებიანად 7435 სამ. დღე. ავადმყოფობის შემთხვევა იყო 677, უბედური შემთხვევების—30.

ხანგრძლივობის მხრივ ისინი შემდეგნაირად ნაწილდება:

3 დღ.	— 108 კ.	51 ქ.	სულ—159.
7 „	— 121 „	85 „	„ —203.
2 კვ.	— 108 „	65 „	„ —176.
3 „	— 36 „	29 „	„ — 65.
4 „	— 25 „	15 „	„ — 40.
5 „	— 10 „	5 „	„ — 15.
6 „	— 6 „	3 „	„ — 9.
7 „	— 2 „	0 „	„ — 2.
8 „	— 5 „	2 „	„ — 7.
9 „	— 5 „	4 „	„ — 9.
10 „	— 2 „	0 „	„ — 2.
11 „	— 1 „	0 „	„ — 1.
12 „	— 12 „	2 „	„ — 14.
12 ზევით	— 5 „	0 „	„ — 5.
სულ	— 446 „	261 „	„ —707.

წამლობის მხრივ: სამკურნალოებში წამლობა—310 კაცი, 201 ქალი; სულ 511. საავადმყოფოში დაწოლილი—95 კაცი, 37 ქალი; სულ 132. სახლში 40 კაცი, 24 ქალი; სულ 64.

ავადმყოფობის ხასიათის მხრივ: ეპიდემიური: პარტახტიანი ტიფის—8, მუცლითი (ტიფი)—15, განმეორებითი ტიფი (возвратный т.)—17, [illegible]—2, ინფლუენციით—18, ისპანკით—111, ტუბერკულიოზი (ჭლექი)—67, ფილტვების ანთებით—44, სასუნთქავ ორგანოს ავადმყოფობით (бронхитъ)—26, ლორწოვანი კანის ავადმყოფობით (плевритъ)—5, მალარია—29, ანგინა—16, გულის ნაკლოვანებით (порокъ сердца)—2, ლუმბაგო—19, რევმატიზმით—5, კუჭის ავადმყოფობით—35, ქალის ავადმყ.—19, ვენერიულით—6, აბორტი—4, ყურის სნეულებით—3, თვალის—5, სხვადასხვა 8, მოხუცებულობის სისუსტით—1, სულ—625. უბედური შემთხვევები: ნაღრძობი და გაჭრილობანი—21, დამწვარი 9, სულ—30. [illegible] 52 მუშ. [illegible]. უკანასკნელ ხანებში ტუბერკულიოზით ავადმყოფობის მატებანელი ციფრები, ასე მაგალ. შემდეგ წარმოებებში ვიდრე: მეთამბაქოეები—25 შემთხვ., სტამბებში მომუშავენი—18; ეს უფრო მეტია, ვიდრე მეთამბაქოენი, ვინაიდან სტამბებში მომუშავენი ორჯერ ნაკლებნი არიან მეთამბაქოეებზე; მქსოველები და ტყავზე მომუშავენი—24. შეიძლება ითქვას, რომ ეს აღნიშნულ პროფესიების პროფესიონალური ავადმყოფობაა. უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს ფაბრიკებში და საქსოვ დაწესებულებებში მომუშავე ქალები ხშირად არიან ავად ანემიით (სისხლნაკლულობა), რომელიც 16 შემთხვევაში აღნიშნულია, როგორც დამოუკიდებელი ავადმყოფობა, რადგანაც მუშებს არ შეუძლიათ ეწვიონ, ხოლო უმეტეს შემთხვევაში ეს ავადმყოფობა თანა სდევს სხვა ავადმყოფობას; ძალიან ხშირად ბიულეტენებში ექიმების მიერ აღნიშნულია: „ანემიური"—სისხლ-ნაკლულობა, ლუმბაგო—სისხლ-ნაკლულობა, გრიპი—სისხლ-ნაკლულობა და სხვ. გამახასიათებელია აგრეთვე მოხუცებულობის სისუსტე, რომლისთვისაც საავადმყოფო კასამ 6 კვირის ქირა გადაიხადა.

კასაში მონაწილე ქალების მშობიარობის რაოდენობა—15. სიკვდილის რაოდენობა—5 კაცი, 2 ქალი, სულ—7.

მუშათა შორის

თფილისის სინდიკალისტების ორგანო, „ახალი ნაკადი"-ს მე 5 ნომერში მოთავსებულია ვინმე „ძველი მუშა"-ს წერილი; უკანასკნელი ეხება სამხ. სამინ. ფეხსაცმელების სახელოსნოს მუშებს. სანამ წერილს შევეხებოდე, სასურველია მკითხველის ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას: აღნიშნულ სამინისტ. ფეხსაცმ. სახელოსნო აქვს იჯარით მოქალაქე ი. სირაძეს. ამ ზაფხულ დროს მუშები აწარმოებენ მოლაპარაკებას სამხედრო სამინ. კომიტეტთან, რათა ამ უკანასკნელმა გადაიტანოს სახელოსნო თავის გამგებლობაში სამეურნეო წესით. ამით იქნება ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ი. სირაძესა და სამხ. სამინ. კომიტეტს შორის; მაგრამ ამ შემთხვევაში იქნება გვაქვს მოხდება შეთანხმება. ამ ღონით სახელოსნოს მუშების წინაშე წამოყენებულია სამი გზა სახელოსნოს მოწყობისა: 1) სამეურნეო წესით სამხ. სამინ. კომიტეტის გამგებლობაში, 2) ამხანაგობა, 3) ისევ მოიჯარადრე. მუშებმა აირჩიეს პირველი გზა, რადგან იციან მათ, რომ სახელმწიფო ჩვენი, არის მუშების შექმნილი და თვითონ იცავს მუშების ინტერესებს, ეს ისევ ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო. და აი, სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ მუშებს ჰქონდეთ პირდაპირი დამოკიდებულება მთავრობასთან უშუალოთ, რადგან მესამე პირი, იქნება ის ქირით მოიჯარადრე, თუ ამხანაგობა, ეს სულ ერთია, იქნება ისეთივე ექსპლოატატორი, როგორც „ხაზეინი". ამით ის მოგება, რომელიც რჩება ხაზეინს, დარჩება სახელმწიფოს, რაც უფრო სასარგებლოა მუშებისათვის, ვიდრე ის, რომ მოიჯარადრემ, ან ამხანაგობამ ჩაიჩხრიალოს მუშების ოფლით შეძენილი ფულები. ბ. „ძველი მუშა" ძალიან აქებს ამხანაგობას და გაიძახის: „ამხანაგებო! გარჩევთ შემოკრბით ამხანაგობის გარშემო და შეკვეთაც ჩვენ მოვცემთ და სხვა დიდ საქმეებსაც მოვკიდებთ ხელს"-ო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ბ. „ძველ მუშა"-ს ჯერ არ მოეხსენება, რომ მუშების მოტყუება, ეხლა არც ისე იოლი საქმეა, როგორც მას ჰგონია; მუშებმა თვითონაც კარგათ იციან, რომ ამხანაგობა, რომელიც ბ. „ძველ მუშა"-ს განუზრახავს მოახვიოს თავზე მუშებს, არაა სასურველი და აი რატომ: ჯერ ერთი ის მუშები, რომლებიც შევლენ ამხანაგობის გამგეობაში უნდა მოაწყონ სიუფლიად სამუშაოს, მაშასადამე, დააჩლეგინონ გადაგვარების გზას; იმ მუშებითან, რომლებიც იმუშავებენ სახელოსნოში, სრულიად ღიაა, რომ ჯერ ხაზეინის მეტს სხვა საქმეს არავითარ სარგებლობას არ მოგცემენ; გარდა ამისა, მუშებს ერთი პარაზიტის მაგივრად (მოიჯარადრე) მოევლინებიან მრავალნი ამხანაგობის სახით. აი სწორედ ესაა მიზეზი, რომ ამხანაგობა მუშებმა უკუაგდეს, ისევე როგორც მოიჯარადრე. ბ. „ძველ მუშა"-ს წინასწარმეტყველებაც სცდება: „თუ არსებული სახელოსნო დაიხურა და მუშებს მიაჭედებენ, შემკვეთები სახელოსნოში, რომელიც სამხ. სამინ. კომიტეტის გამგებლობაშია, რომელიც მოწყობილი არ არის ისე, როგორც არსებული სახელოსნო, მაშასადამე, რომ მუშები ერთი ორი თვე მიაცილებენ მუშაობას და ამ ხნის განმავლობაში ეს ორგანიზაცია დაიშლება და თანაც სალიკვიდაციო ფულსაც ვერ მიიღებთ-ო". ეხლა ერთი ხმაა ამხანაგობის ლიკვიდაციის სასარგებლოდ, მაგრამ ეხლაც მუშებმა უკეთ იციან ვის დაუჯერონ, სამხედრო სამინ. კომიტეტს, თუ ბ. „ძველ მუშას"? ეს უკანასკნელი შემდეგ ამბობს: „ამხანაგობის წევრებმა შეგვიძლიან და ხელ ხელი უწყობით ძველი მუშას"-ო. ჯერ ერთი, ეს 7 მუშა არა ყოფილა მუშებისაგან არჩეული, გარდა ამისა ეს მუშები აცხადებენ, რომ „ჩვენ შეცდომით მოვაწერეთ ხელი-ო, სადამდი ჩვენთვის სწორედ არც კი იყო გამოცხადებული, რომ რაღაც ქაღალდზე ხელი მოგვაწერინეს, რომელსაც ბ. „ძველი მუშა" წესდებას ეძახის, მაგრამ თუნდაც ეს ისე იყოს, როგორც ამას ბ. „ძველი მუშა" ბრძანებს, განა ის შვიდი მუშა, რომლებსაც ხელი მოუწერიათ „წესდება"-ზე და რომლებიც არ ყოფილან მუშებისაგან არჩეული, წარმოადგენს უმრავლესობას ამ სახელოსნოების მუშებისას, რომელთა რიცხვიც 140-ს აღემატება?

შემდეგ ამბობს: „რადგანაც წესდება მიიღება დამტკიცებული (ხაზი ჩვენია) ამიტომ იქნება გამგეობა და დავადგეთ მომავალში ფეხსაცმელების შეკვეთა მისცემოდა ამხანაგობას"-ო: მიდი და ნუ გაგეცინება. მუშებს არავითარი გამგეობა არ აურჩევიათ, წესდება არ დაუმტკიცებია ამხანაგობას და ბ. „ძველი მუშა" კი ფეხსაცმელების შეკვეთის მიღებასაც აპირებს. როგორც ეტყობა ბ. „ძველი მუშა" ქვემოთ ქმედაც ყოფილა: „ჩვენი ამხანაგობის მიზანია, მოაწყოს ყოველგვარი სახელოსნო და ქარხნები ტყავეულობის დასამზადებლად: ჯერ ს დაამზადოს ყოველგვარი ფეხსაცმელები, და ისე ფასებში მიაწოდოს ფეხსაცმელები სოფლის მუშებს, რომლებსაც დღეს სპეკულიანტები ტყავს აძრობენ და 100 მანეთიან ფეხსაცმლებში 2000 მანეთს ახდევინებენ", მაგრამ აქაც ძალიან გულუბრყვილობას იჩენს „ძველი მუშა" რადგ. ჰგონია, რომ მუშები იქნებიან ერთი დაპირებით დაატყუოლი და ჩაითრიან ამხანაგობის მოწყობის საქმეშიო; განა მუშებმა არ იციან, რომ ეხლა ფეხსაცმლების მარტო შეკერვა ჯდება 133 მანეთი მასალის გარდა? დაბოლოს თუ ეს ამხანაგობა ძალიან კარგია, როგორც ამას ამბობს „ძველი მუშა", რას მოაწერენთ ის გარემოება, რომ გულსგუშვიანმა, რომელიც ითვლება ამხანაგობის სანქტ დამცველათ განუცხადა ზოგიერთ ამხანაგებს, რომ: „ეს ამხანაგობა ისე მოეწყობა, რომ მუშებმა, არაფერი არ გაიგონო", თუ მუშებისთვის კარგი გინდათ, რატომ პირდაპირ არ ეუბნებით, რომ აი ეს გვინდა ჩვენ თქვენთვისო, მაგრამ რას ვამბობ: მუშებისთვის რომ გვთქვათ პირდაპირ, რასაკვირველია მუშები თვითონ გაიგებდენ თქვენ საქმიანობას და ისინივე დაგამარცხებდენ. შემდეგ ბ. „ძველი მუშა" გვიწოდებს მაჭუჭურებს, მაგრამ დიდ პირუთვნელმა მკითხველმა თვითონ გაარჩიოს ზემო ნათქვამიდან ვინ არის მატყუარა ბ. „ძველი მუშა" და მისი ამყოლ დამქაშები, თუ ისინი ვინც სწორე გზას უჩვენებენ მუშებს?

სამხ. სამ. ფეხ. მუშ. კავშირის თავმჯდომარე **მამარდაშვილი**

მდივანი **მამისაშვილი.**

პროვინცია

წირქვალის თემი. ყველა ინტელიგენტმა თავი ქალაქებს შეაფარეს და სოფელში კი უკუნეთი ბნელეთით დახტოვეს. დღეს ეს თემი არის ყველა საზოგადოებაზე უკან ჩამორჩენილი, სადაც ნადებს პოულობს პროვოკაციული ხმები და ჭორები. ერთი თვეა, რაც მოიწვიეს თემის თავმჯდომარეთ ამხ. პ. გურული, რომელიც შეუდგა ენერგიულად მუშაობას. ერთი თვის განმავლობაში მან უკვე შესძლო, სხვა წვრილმან სოფლის საქმეების გარდა, რომელიც ბლომათ არის თემში მედიმ, სახალხო სახლის დაარსება და მისი უკეთ მოწყობა. მან უკვე შექმნა სოფლის სცენის მოყვარეთა ჯგუფი. სახალხო სახლში მოაწყო სცენა და სამკითხველო. 12 აპრილს, დადგა წარმოდგენა, რომელზედაც აუარებელი ხალხი დაესწრო. წარმოდგენილი იქნა „დედა და შვილი" ილია ჭავჭავაძისა, „ჩუსტები" ირ. ევდოშვილისა, „ტაშოთას დედერი" და „ახალი წლის თავი". სახალხო სახლის დაარსებაში და გაკეთებაში ხელი შეუწყო თემის თავმჯდომარის ამხანაგმა ვ. თომაძე მარტირაძემ.

დამსწრე.

ხონ. სავეგეთი (გურია) 12 აპრილს შესდგა ხონ. საყვავეტის და ცხნის მცხოვრებთა შეერთებული კრება. დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: 1) მოხსენება თანამედროვე მომენტზე და 2) საფონდო მიწების შესახებ. ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის დავალებით თანამედროვე მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ზაქარია შარაშიძე, რის შემდეგაც ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინეს რა ხონ. ცხნის და ხონ. საყვავეთის მცხოვრებთა შეერთებულმა კრებამ მოხსენება ამხანაგ ზაქარია შარაშიძისა თანამედროვე მომენტზე, იწონებს მთავრობის მიერ ადებულ სწორ ხაზს, როგორც შინაგან, ისე გარეშე პოლიტიკაში და ფიცს სდებს მხარში ამოუდგეს ხალხის მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრებას და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას, აგრეთვე შეებრძოლოს იმ ელემენტებს, რომლებიც შეგნებულათ თუ შეუგნებლათ დემოკრატიის რაზმებს ჰყოფს და მის დასუსტებას ცდილობს.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ოსეფიშვილი, რომელიც აღნიშნავს სადემნო მიწების მდგომარეობას და გლეხთა პროფესიონალური კავშირის შექმნის საჭიროებას. ამისთა გაცხოველებული შეხედვ. ამხილოტერი უმრავლესობის მიერ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა კრებამ მოხსენება ოსეფიშვილისა, ადგენს: ხელუხლებლად დატოვოს სადემნო მიწები მანამ, სანამ მთავრობიდან არ მოვა სათანადო განკარგულება და დაარსოს პროფესიონალური კავშირი.

მდივანი.

ხონი. ნესტორ ცხაკაია და ისაკი მაჭარაძემ მოაწყეს ბალაკტი სრულიად უდანაშაულო ადამიანის წინააღმდეგ. დაუჭერიათ მათ ქაღალდი ხელში და აწერინებენ ხელს ზოგიერთ შეუგნებელ პირს, ეწყვიან ანტიკიან ფილიპე მაჭარაძის წინააღმდეგ. რისთვის, რა დანაშაულისთვის? მაგრამ მოვახსენებ ამ ვაჟბატონებს, ხონში არის სასამართლო. მათ მაჭარაძის წინააღმდეგ მართლა რაიმე საბუთი თუ აქვთ, რატომ არ მიმართავენ ორგანიზაციებს, ან კომისარიატს და სხვას. აქედან შეიძლება ადვილათ დაასკვნა განმრავლებანით: ძველი ანდაზის მიმდევრებს ყურძნეულით ხელში მუშაობა. მე ვურჩევ მათ მოიქცენ ისე, როგორც რიგია, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებენ საზოგადოების წინაშე.

დედის მუშა.

გორის რაიონის კოოპერატივთა კავშირი შუამდგომლობს მიწათ მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა მან დაუთმოს შელავეთიან ტყეებში ხე-ტყის დაუმუშავებელი მასალა მარაჯამის სახელმწიფო მამულიდან; ეს მასალა კავშირის საჭიროება გორის სახალხო სახლის ასაშენებლად. კავშირის პროექტით სახალხო სახლში უნდა მოთავსდეს ადგილობრივი საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერატივები და აგრეთვე თეატრი, ბიბლიოთეკა სამკითხველო და სხვა კულტურული დაწესებულებანი. იმედია, მთავრობა შესაფერი ყურადღებით მოეკიდება ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს.

X.

წერ. რედაქციის მიმართ

სიღნაღის მაზრის სოფელ მელაანში მიღებული იქნა სამას ექვსი თუმანი (3060 მ.) *) ვარიისა და იმის მაზრის დაზარალებულთათვის. ეს ფული გზღაგვ წარმოდგენილი იქნება და სადაც ჯერ-არს გადაეცა წარმოდგენილათ. ამ ფულის შემგროვებელი არიან: მღვდელი ეფრემ აბრამიშვილი, სვიმონ ღლონძე, ივანე თამაზაშვილი. უკაცრაოთ მეორედ ხელი.

მღვდელი ეფრემ აბრამიშვილი.

ნუმა ვეძიეძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა უძღვნათ მუშათა კლუბის კომისიას, დარბაზის ფულის უფასოდ დათმობისთვის სახვენოზე დღის გასამართავად.

ქუთაისის მე 15 ტე სამოქალაქო სკოლის მასწავლებელნი.

ცნობები

სოკრატ დიმიტრის ძე მიქაძე სწავლობდა კიევში უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტში მე-4 კურსზე. 1914 წელს იქნა გადასახლებული ქ. უფაში. იქ მსახურებდა ერობაში. ორი წელია მისი არაფერი ვიცით; ვთხოვთ თუ ვინმემ იცის მის შესახებ, მაცნობოს „ერთობის" რედაქციაში. ან ტერიმეს ქუჩა № 11. გაგზვნოვს.

---

*) ფული მივიღეთ. **რედ.**

განცხადებანი

იყიდება
ცხენები

საჯარო ვაჭრობით კვირას 25 აპრილს, 12 საათზე (ველისციხის ქუჩა № 196).

თფილისის მაზრის ერობის სატრანსპორტო განყოფილება.

(ნ. 2—1)

ალექსანდრე მიხეილის ძე გაბუნიამ

დაჰკარგა

მანდატი მიღებული იანვარში ს. მაღდნის სახალხო გვარდიის შტაბიდან, რაც ჩაითვლება გაუქმებულად.

(კუპ. 375—1—1)

დავკარგე

ატესტატი № 202 მიღებული 26 მაისს 1916 წ. კუტაისის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლიდან, რაც ჩაითვლება გაუქმებულად. ბართლომე კაკუშია.

(კუპ. 376—1—1)

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალური: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფებს მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვა"-ს პირდაპირ. ტელ. 14—26.

(1343 25—1)

თფილისში

პრაქტიკოსი დოქტორი მედიცინისა

ვ. ბ. მოსეშვილი

გადმოვიდა გორიჯის ქუჩაზე ა. ი. არჯევანიძის სახლში, № 5, ქაშვეთის ეკლესიის ახლოს, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. მიღება შინაგანი და ნერვების სნეულებებით ავადმყოფთა დილით 12—1 ს, საღამოთი 5—8 საათამდე.

(1337—25—1)

ექიმი

ვ. გ. მართაშოვი

სპეციალისტი: კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606" და 914 შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 3, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.

(1323 25—2)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.

(1255 48—5)

ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალური: სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქუჩა № 33.

(1288 25—3)

კბილის ექიმი

ე. თ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

და მისი ასისტენტი მ. ა. დადიანი იღებენ კბილით ავადმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორო-მასწორო კბილებს. ავადმყოფებს იღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანას ტასიას ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63.

(21—5)

დოქტორი

ბ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

(1350 25—1)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეშხაპ. 606—914) ვენერიულ და საშარდე ორგანოებით სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. დიდიმთავრის ქუჩა № 72, ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.

(1224 —თ.)

ექიმი

ვერას იასის ძე [illegible]

ღებულობს ყურის, [illegible] სნეულებით ავადმყოფებს დილით 1—3 ს, საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.

(1304 25—2)

ექიმი

სოლომონ იასის ძე [illegible]

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. მელიქის ქ. № 5.

1303—25—2)

მედიცინის დოქტორი

ივ. ღუღაძე

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიღება საღამოს 4—7 საათ. მეწინავის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში

(1259—34—5)

ოზურგეთში

ექიმი აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნერვების; ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფიზიოთერაპიით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში.

(კუპ. 338.)

ექიმი [illegible]

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ნიკოლაიშვილის ქუჩა № 87, ალექსანდრეს ბაღის ახლოს.

ქალი ექიმი

მ. მ. ბლუაძე

წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საშვილოსნო ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი

ნ. ლ. ცერიაშვილი

იღებს ქალურ და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღ. 1—2 და საღ. 4—5 ნიკოლაიშვილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის ახლო ტელეფონი 14—13.

(1325—25—2)

კერძო სამკურნალო

ყოველნაირი ავადმყოფებისთვის

ექ. ე. გ. მინარიშვილისა

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კარიან. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 იღებს 8—3 ს. ვენერიული: სიფილისით და კანის ავადმყოფების მიღება აგრეთვე საღამოთი 4—7 ს.

ქალებისათვის ცალკე დილ. 8—11 ს. სამკურნალოში ავადმყოფებს იღებენ შემდეგი ექიმები:

- ი. კ. აბაკელია—შინაგანი ავადმყ.
- დ. გ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვთა სნეულ.
- ნ. ნ. ჯავახიშვილი ნერვებ. და ფსიქიატრია.
- ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.
- ა. გ. მაჭავარიანი—[illegible] (ქირურგიული) სნეულ.
- გ. შ. მძინარიშვილი—ვენერიული, სიფილისის და კანის ავადმყ.
- ნ. ს. ოთარშაშვილი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
- ზ. ს. ცხვედაძე—თვალების სნეულებ.
- გ. დ. შალამბერიძე—დედაკაცთა სნეულ. (ქალების და მეანობა).

სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაციები, ოპერაციები, ელექტრიზაციები, ყვავილის აცრა, კანს ქვეშ სხვირება მარილი, შეშხაპუნება „606" და „914". აგრეთვე მიღება მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.

(ნ. 25—2)

ქართველ მომღერალთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა

25 აპრილს, ტფ. დილით 12 საათზე, კავშირის ბინაზე პეტრე დიდის ქ. № 8. იწვევს კავშირის წევრთა

საზოგადო კრებას

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) საორგანიზაციო კითხვები, 2) წევრთა არჩევა გამგეობაში, 3) საერთოდ მუსიკალურ და საოპერო საქმის დაყენება საქართველოში. ვინაიდან კითხვები ფრიად საყურადღებოა, ვსთხოვთ ყველა კავშირის წევრებს გამოცხადდენ დანიშნულ დროს.

გ ა მ გ ე ო ბ ა.

(1388—2—1)

კვირას 2 მაისს ქვიტირის თემში მუხიანის სადგურის მახლობლათ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა მუხრანის ყანები. ვაჭრობა დაიწყება ასი ათასი მანეთიდან. ვაჭრობის დაწყების წინ მოიჯარადრემ უნდა წარმოადგინოს გამგეობის კასაში ათი ათასი მანეთი ფული. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქვიტირის თემის გამგეობაში.

ქვიტირის თემის გამგეობა. (კუპ. 374—3—1)